645
1963

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მარტი
1963 წ. № 3

# საქართველოს ქალი


17 მარტი არჩევნების დღეა!
ნახ. რ. ცუცქირიძისა.
ყველანი არჩევნებზე!

645
1963

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 8 მარტია, მეგობრებო, გილოცავთ!

9021

სიხარულით გვეგებება
ლურჯი, უნაპირო ცა,
რვა მარტია, მეგობრებო,
გილოცავთ!

დედავ, დაო,
თქვენს კარგ სახელს
გამარჯვებით იმოსავთ.
შრომას, წინსვლას ახალ-ახალს
გილოცავთ!

მზე ისეთი ლამაზია,
ცა თხოულობს ფიროსმანს.
რვა მარტია, რვა მარტია!
გილოცავთ!

# წლის ყველაზე ლამაზ დღეს

იქნება მშვიდი, მზიანი ამინდი თუ თბილისური მარტის გუნებაცვალებადი, ხან უმიზეზოდ ატირებული, ხანაც უმიზეზოდ გაცინებული დღე, იების გაუქიდველთან შეჩერდება მოხეირნე წყვილი, თუ გამჭვირვალე ლაბადებში გამოწყობილი ტანასვეტილი გოგონები წვიმის გადაშხაპუნებას დაელოდებიან ჭადარქვეშ, ეს მაინც წლის ყველაზე ლამაზი დღე იქნება მათთვის.

რვა მარტს, გაზაფხულის ამ შესანიშნავ დღეს, ჩვენი სახელოვანი დედებისა და დების ლამაზ დღესასწაულს, ეძღვნა ეს რეპორტაჟი...

## შენი დღესასწაულია

ეკრანი აციმციმდა და ცეროდენებმა ტელევიზორებთან მოიკალათეს.

ავადმყოფის მაგიდაზე მიქსტურა დგას.

ფანჯრიდან შეწუხებული იხედება ყბაახვეული მთვარე. საწოლში განაბულა ავადმყოფი კურდღელი. თავს ევლება ბაჭიას მისი დედობილი. და თან პატარა მაყურებლებს აცნობს: თურმე ნუ იტყვით, და, „ეს საწყალი კურდღელი ძლიერ ავად გაგვიხდა, არც სტაფილო მიირთვა, ჩამოჭკნა და გაგვიხდა.“ —

მღერის პატარა ნინო ჯანელიძე და სმენად ქცეულან პატარები. 7 წლის მსახიობს არც რამპის შუქი აბნევს და არც ოპერატორის ახირებული „თავიდან დავიწყოთ,“ თამამად, თავისუფლად მოძრაობს დეკორაციებში და უზადო მუსიკალობით ატკბობს მსმენელს.

თუმცა თვითონ ნინოს ეს ფირი „ძველ ფირად“ მიაჩნია. რაც არ უნდა იყოს, 4 წლის წინაა გადაღებული და იმის მიუხედავად, რომ მაშინ სცენაზე „მოღვაწეობის“ ბარე სამი წლის გამოცდილება ჰქონდა, მაინც კრიტიკულად უცქერის მას (რა გაეწყობა, მსახიობებს უყვართ ძველი ფირების დაწუნება).

ახლა ნინო „დიდია“ —11 წლისაა. მუსიკალურ სკოლაშიც წარმატებით სწავლობს და პიონერთა სასახლის ორკესტრთან ერთადაც ხშირად გამოდის კონცერტზე. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ პატარა ირაკლის ყველაზე დიდ მუსიკალურ ავტორიტეტად ოჯახში, მუსიკის პედაგოგი დედის შემდეგ ნინო მიაჩნდეს.

სხვა დროს დედას კითხავდა ირაკლი რომელი სიმღერა აერჩია, მაგრამ ახლა



და-ძმა ჯანელიძეები

არავითარ შემთხვევაში არ იზამს ამას. იცის ირაკლიმ სურპრიზის გემო.

სურპრიზს დედისათვის ამზადებენ, სარვამარტოდ.

— რით გავახაროთ დედა? მთელი ჩვენი რეპერტუარი ხუთი თითივით იცის. იმ სიმღერებს, რაც დედამ თვითონ გვასწავლა, ვერ ვუმღერებთ.

— იცი რა! სანამ დედა სამსახურშია, გავარჩიოთ ახალი სიმღერა. მისი მოსვლისთვის ნოტები დავმალოთ და 8 მარტს დილით მოულოდნელად გავახაროთ იგი.

ირაკლიმ სიხარულით ტაში შემოკრა და რეპერტუარის შერჩევა დაიწყო.

— ხომ არ ვიმღეროთ მანრიკოს არია? —სერიოზულად ჰკითხა დას.

— უკეთესია დუეტი.

— მაშინ ლაღიძე?

— ვსინჯოთ.

— ბებო, გამოგვდის? — ხშირხშირად გასძახიან პატარები სამზარეულოში მოფუსფუსე ბებიას და გასახარელი პასუხის მიღების შემდეგ, ისევ ჩაჰკირკიტებენ ნოტებს.

რა ქნას ირაკლიმ! 8 წლისაა და ამდენ საიდუმლოს ვერ დაიტევს, დედას როგორმე არ ეტყვის, რომ საჩუქარს უმზადებს, მოითმენს, მაგრამ ნინოს... ნინოს რა უშავს, გაენდობა.

— დედას რომ ვუმღერებთ, მერე შენ გიმღერებ იტალიურ სიმღერას „ლოლი პაპ." ახლა გამახსენდა, რომ 8 მარტი შენი დღესასწაულიცაა.



თ. კვარაცხელია ქალიშვილთან

ფოტო დ. იაკობაშვილის

## სიხარულის წყარო

ყველაფერი დღესავით ნათელი იყო: მკვლელობა ღამით მოხდა.

მანქანის კაბინაში მხოლოდ ორნი ისხდნენ — მძღოლი და თანამგზავრი. ექსპერტმა დაადგინა: ტყვია ნასროლი იყო უკნიდან, ქვემოდან ზემო მიმართულებით (მგზავრი მოკლულზე ბევრად პატარა ტანისა იყო).

გამოძიებისას მგზავრმა აღიარა: მე მოვკალიო. შემოწმებით ისიც გამოირკვა, რომ ბრალდებულს შეეძლო რევოლვერის გამოყენება.

თითქოს ყველაფერი ნათელი იყო და მაინც...

გულმა, ალღომ თუ რაღაც სხვამ, რასაც სახელი ძნელად დაერქმის, მაგრამ რაც ნიჭითცხებულ ადამიანს განასხვავებს ჩვეულებრივი, ხშირად კარგი სპეციალისტისაგანაც კი, აიძულა რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი თამარ კვარაცხელია ეჭვით შეეხედა ამ „ნათელი" საქმისათვის.

...ეჭვმა იხსნა მოსალოდნელი დაღუპვისაგან უდანაშაულო ადამიანი და საზოგადოებას საშიში დამნაშავე მოაცილა.

ეს საქმე თავისი სირთულით ერთადერთი არ ყოფილა თამარ კვარაცხელიასათვის.

ბევრ ბურუსით მოცულ, თითქმის უიმედოდ ქცეულ საიდუმლოს ახადა ფარდა ახალგაზრდა გამომძიებელმა.

ვინ იცის, რამდენ უდანაშაულო ადამიანს შვებით ამოუსუნთქავს და თამარის სახელი ნეტარებით უხსენებია.

ვინ იცის, რამდენი დედის სიხარულის წყაროდ ქცეულა თამარ კვარაცხელიას მიერ გახსნილი საქმე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თამარი საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვანთა განყოფილების უფროსად გადაიყვანეს და გზასაცდენილი მოზარდების ბედი მიანდეს.

დღესაც, ვინ იცის, რამდენ გულითად მილოცვას მიიღებს თამარი!

ყველას კი მაინც მისმა ერთამ, ნანამ დაასწრო და დღესასწაული დედას სიყვარულით მიულოცა.

ლამარა წოწელია და ზაურ ლამბაშიძე





ალექსანდრა ჯანუყაშვილი

## მიხაკები

ზაურმა დილით დაიბარა:

— დღეს სამზარეულოში შესვლა გეკრძალება. მე თვითონ გავაკეთებ ორი თავისაგან შემდგარ სადილს. დესერტი არ მეხერხება, მაგრამ შენ მაინც არ ჩაგრევ. ატმის კომპოტი გავხსნათ. შევთანხმდით?

ლამარამ გაუცინა.

არა, სულ არ შეცვლილა ზაური. ახლაც ისეთივე ალერსიანია და მზრუნველი, როგორც მაშინ, როცა ხელში სასკოლო ჩანთებით შორი-შორს მოყვებოდნენ ქვაფენილს და ცნობისმოყვარე მეზობლების მზერას გაურბოდნენ. თუმცა ეჩვენებოდათ, თორემ მეზობლები ისე შეეჩვივნენ მათს ერთად ყოფნას, რომ ცალცალკე უფრო ეჩოთირებოდათ მათი ნახვა.

სკოლიდან ზაურ ღამბაშიძე ქარხანა „ელექტროგამშვებში“ მივიდა. ბრიგადა რომ ჩააბარეს, რწმენა და სითამამე მოემატა. ლამარასთან ხელიხელჩაკიდებული აღარ წითლდებოდა ნაცნობების შეხვედრაზე.

ისე ხუთი თითივით იცოდა ქალიშვილმა, რა ხდებოდა „ელექტროგამშვებში“, როგორც თავისი სამკერვალო ფაბრიკის საგამომჭრელო საამქროში.

ლამარა წოწელიას რახანია აჩქარებდნენ ფაბრიკაში:

— რაღას უცდით, ქორწილი შემოდგომით სჯობს, თქვენისთანა მარჯვენამოუღლელ ახალგაზრდებზე კომკავშირული ქორწილი ალალიაო.

ორი წლისაა ახლა მათი დალი, ზაური კი ისევ ისეთი ყურადღებიანია.

...კარებზე დააკაკუნეს.

ლამარას სახე გაებადრა:

მეუღლის მორთმეული მიხაკები, ლამარას აზრით, ქვეყნად ყველაზე კარგი საჩუქარია.

• • •

## მილოცვა? — მოვასწრებთ!

პატარა გოგონამ ნაბიჯი გადადგა, მერე აუჩქარა, ხალიჩაზე გაირბინა, ხელის დაბჯენით სალტო გააკეთა და უსიამოვნოდ შეიჭმუხნა.

— კიდევ! — მოკლედ მოითხოვა მასწავლებელმა.

გოგონამ გაიმეორა ხტომა.

— კარგია.

— ერთხელ კიდევ ვცდი!

— მიდი! — გაეღიმა მასწავლებელს.

ბავშვის მოქნილმა მოძრაობამ მიიქცია სპორტის ოსტატის ემა ქოვლიევას ყურადღება. გოგონას დედას მოეთათბირა და ალექსანდრა ჯანუყაშვილი, ყაზბეგიდან ჩამოსული პატარა მოხევე, ბავშვთა სპორტულ სკოლაში სპორტული ტანვარჯიშის სექციაში ჩარიცხა.

ფიზკულტურის მასწავლებელი მისი მწვრთნელი გახდა. მოქნილმა და მონდომებულმა გოგონამ ერთ წელიწადში 2 თანრიგი ზედიზედ მიიღო და ვარჯიშის დაწყებიდან 3 წლის შემდეგ სპორტის ოსტატის პროგრამით დაიწყო ვარჯიში.

აშკარა იყო ბუნებრივ ნიჭთან ჰქონდა საქმე და მწვრთნელიც ძალას არ იშურებდა.

რესპუბლიკის სპორტისმოყვარულებს სულ უფრო ხშირად ესმოდათ ალექსანდრა ჯანუყაშვილის გვარი. თბილისელები კი მის გამოსვლებს შეუნელებელი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს. და აი, 1960 წელს ალექსანდრამ სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა და რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა მოსწავლეთა შორის.

დღემდე ამ ტიტულს დაკლებით არა დაკლებია რა, დამატებით კი დაემატა ფრიად სასურველი:

საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონობა ქალთა შორის.

ახლა თბილისის მე-12 საშუალო სკოლის მოსწავლე ალექსანდრა ჯანუყაშვილი მზია ნინოშვილთან, ელა ბენიძესთან, ალა ნიჟარაძესთან და რესპუბლიკის სხვა უძლიერეს ტანმოვარჯიშე ქალებთან ერთად ემზადება საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის!

დღევანდელი საზეიმო დღის რეჟიმი დიდად არ განსხვავდება სხვა დღეებისაგან — 3 საათი ვარჯიში. რას იზამ, მხოლოდ ასე შეიძლება რესპუბლიკამ შენით იამაყოს!

მილოცვა?

მოვასწრებთ, ჯერ ვარჯიში არ დამთავრებულა.

ნარგიზა მგელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მარი აბრამიშვილი**

## ლექსი და შვილი

ჩემი შვილების ზრუნვაში გართულს
დღენი ულექსოდ მილამდებიან.
შეეხლებიან გრძნობები ამ გულს
და მერე სულის მიღმა კვდებიან.
ჩემი შვილების ზრუნვაში დაღლილს
რამდენი ლექსი ამტირებია,
არ ავყოლივარ იდუმალ ძახილს
და მერე ჯავრით არ მძინებია.
დავდევნებივარ გაქცეულ სტრიქონს
და მიპოვნია წყარო ანკარა.
ავმღერებულვარ და სწორედ იმ დროს
ატირებულა ჩემი პატარა.
მაგრამ შვილები როს კისკისებენ,
მე მაშინ გულში ლექსი მიტირის,
შარბათით, ცრემლით სულს ამივსებენ
და გავმაგრდები როგორც ქვითკირი.
ლექსი და. შვილი... შვილი და
ლექსი...
ორთავ ტკივილი და ნეტარება,
ორთავ სიცოცხლის სათუთი ფესვი
და თვალზე რულის არ მიკარება.
შვილს მეტი უნდა... შვილს უნდა
დედის
თვალი და ყური, სითბო და ხელი...
ასე ულექსოდ წავიდნენ დღენი—
ზრუნვით და შფოთით,
წუხილით,
ღელვით?
ორთავ მსურს ვნახო ფრთაგაშლილები,
გალაღებულნი დედის იმედით,
ჩემი ლექსები! ჩემი შვილები!—
სათავე, წყარო ჩემივ სიმღერის...

**გოგოლა მზარელუა**

## ანანური

ფერდობს აჰყვა ნეკერჩხალი
და ლაჟვარდებს — მერცხლის გუნდი...
წყარომ მიხმო შორით ჩავლილს
და წყაროს თავს დავუბრუნდი!

მომესურვა უკვდავების
წყალი-ცინცხლად დასალევი.
მიმიძღოდა ბილიკ-ბილიკ
ირმის ჩლიქთა ნაკვალევი..

ზეიმურად გუგუნებდა
ხევ-ხუვებში მთების ეხო,
ცა მშვილდივით მოიზიდა
და მწვერვალებს გადაეხო!

გამიღიმა მწყემსმა გაგიმ,
მომაწოდა სალამური,
და ყაყაჩოს ალებით
მომეგება ანანური.

**გალინა ძინძლაძე**

## იცელქე ტყეო

ამ მთაზე გოგონა,
სირბილით ასულა!
ცელქი ჩიტებიც რა შორს წასულან!
ამ ხევში წყალი მთლად განაბულა.
იცელქე ტყეო!
აქ ბალახებიც არ ეძებს ბურუსს,
მზევ მოახურე შენი სხივები
ტყესა დაბურულს.

* * *

კვლავ გელოდები აქ მარტოდმარტო;
შორს მიწვევს ხმები ჩემი სიმღერის:
ახლა ყველაფერს სიმწვანე ადევს,
ახლა ყველაფერს აქვს მწვანე ფერი
მე ფოთოლივით განვიცდი სითბოს,
მზეზე ვმაგრდები, უღონო, სუსტი...
გადაიხრება მზე შენი გზისკენ,
გაზაფხულამდე გაზაფხულს ვუცდი.

**ქეთევან იშხნელი**

## გალაკტიონი

სულ ნელი,
ოდნავ არეული ნაბიჯებით,
დაღინჯებით,
მიდიოდა.
დიოდა ირგვლივ ვარდთა სურნელი,
შემოდგომის მზე
მის კეთილ შუბლზე
ღიმილს აქსოვდა,—
გალაკტიონი მე ასეთი დამამახსოვრდა.

## ქუშლის პლატოზე

ეგ შავი სახე,
შავი მხრები, შავი მკლავები,
ნაზი გული და თეთრი კბილები.
მე ისე ახლოს დაგინახე
პლატოზე გუშინ,
რომ შავი ფერით შენ
არასდროს დაიჩრდილები.
და მეგობრობა კიდევ უფრო
განმტკიცდა გულში,
ისე ლამაზად თამაშობდი
შენ ხელბურთს მაშინ,
რომ მეც მომინდა
შენთან თამაში.

## მომეცით ნება

მომეცით ნება,
მომეცით ნება,
მეც მინდა გავხდე სტუმარი მთვარის.
სალამს ვუძღვნიდე
საბჭოთა ქალებს—
ცად აფრენილი პირველი ქალი.
გული გაფრენის
ლოდინით დნება...
მომეცით ნება!

**ნანული ძებურია**

## მელოდა

ეს ხეც მელოდა, ეს მთაც მელოდა,
სადღაც ვიღაცა კიდეც მღეროდა.
არ შეწყვეტილა არრის დინება,
ღმერთმა კი არა—დედამ ინება:
რომ ჩამხატვოდა ღია თვალებში
ეს ცა ხან ლურჯი, ხან ნამკრთალევი.
რადგანაც მოველ დაუკითხავად,
ხომ არ გამიშვებს დაუფიქრავად:
არც ეს ზეცა და არც ეს აღმა მზე,
ვიდრე სიცოცხლით სულ არ აღმავსებს,
რადგანაც გავჩნდი ამ ქვეყანაზე!

## ნუ გაფრინდები

მე ხომ აქ ვრჩები ყოველ ზამთრობით,
შენ სად მიფრინავ, ჩემო მერცხალო?
ეს ყვავილები, გულის დამთრობი
სხვა ყვავილებში არ შეგეცვალოს!

* * *

კიდევ სად ნახავ სხვა ბიჭო სესეს,
საით მიფრინავ, შავო მერცხალო?
ნუ მოსცილდები ამ მთების მესერს—
ეს მთები სხვაში არ შეგეცვალოს!

* * *

ეს გუმბათები სხვადასხვა ფერის—
სამშობლოს ცაზე მოჩანს ღიღილოდ.
ასეთი თბილი, მაღალი ჭერი
სხვაგან სად გინდა კიდევ იხილო?

* * *

იქნება შეკრთი, ჩემო მერცხალო?
ეს განა მართლა თოვლის ფიფქია—
ყვავილი თოვლში არ შეგეცვალოს,
ასე მითქვია!

* * *

გახედე, თვალში სხივი ჩამდგარა,
შენც აჭიკჭიკდი, შავო მერცხალო.
აქ ყველა გული მოგავს ფანჯარას,
საგულე სხვაში ნუმც შეგეცვალოს!

**ეთერ ჯიშკარიანი**

* * *

თავს ხან წვიმას, ხან შხაპუნას
ვადარებ,
სანამ ვცოცხლობ ფრთებს არ
დავიკეცავ;
ჩემს მხარეში აბა ვარდებს რა დალევს,
მინდა მუდამ ჭრელი კაბა მეცვას.

* * *

ველი და კორდები ბალახმა დაფარა,
ნახირს აძოვებენ ბავშვები,
მე ნაკადული ვარ სუფთა და ანკარა
შენით ავდიდდები და დავშრები...

ნინო ქობულაშვილი

# ნატვრა...



მხატვარი ლ. შენგელია

ჩვიდმეტი წლისა შევსრულდი; ახლა მე ქალიშვილი ვარ, მაგრამ მაინც თხა გოგოს მეძახიან, საალერსოდ ალბათ...

როდის შემარქვეს ეს სახელი, აღარ მახსოვს. ბავშვობაში ბიჭებს ვჯობნიდი ხეზე ასვლაში, კატასავით მივცოცავდი ზევით, ზევით, მეზობლები კივილით ანგრევდნენ იქაურობას: ჩამოდი, შე თხავ, ჩამოვარდებიო!.. მადლობა ღმერთს, არ ჩამოვარდნილვარ.

ასკინკილას აღარ იტყვით?! ისე დავხტოდი ცალფეხზე, ქაჯი გეგონებოდით, კურდღლებივით გამირბოდნენ ბიჭები, მაგრამ... სად გამექცეოდნენ?!

სწავლა?

შარშან დავამთავრე საშუალო სკოლა. უმაღლესში ვერ მოვხვდი... ეჰ, ბედის საქმეა, ალბათ. ბედისა კი არა, ტვინისაო, შე თხავ, შენაო, — გამიწყრა ბებია, მერე ერთი ორი მომაწყევლა, მომატირა: მეც მინდოდა ნასწავლი შვილიშვილი მყოლოდაო.

რას ვიზამდი?! ვტყუოდი და გავჩუმდი.

მეზობელმა მითხრა: წამოდი, შვილო, ჩემთან ქარხანაში, იმუშავე, კარგი მუშა ასჯერ სჯობია უხეირო ინჟინერს და ექიმსო.

ჰოდა, სწორედ კარგად მითხრა.

აბრეშუმის ფაბრიკაში მიმიყვანა, მჩითავებთან. გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, ვაი თუ უკან გამომაბრუნონ-მეთქი.

მოწაფედ მიმიღეს, ძალიან შემიყვარდა ჩემი საქმე. ახლა უკვე საკმაო გამოცდილება მაქვს, მაქებენ კიდეც.

დიდია აბრეშუმის ფაბრიკა. ჰო, ჰო, ჰო, რა საამქროებია, მაგრამ მჩითავები მაინც სხვა ხალხია, მეოცნებენი და კეთილნი.

მოდის სადა აბრეშუმი, მერე აქ, ჩვენთან ამღერდებიან ხოლმე ფერები.

აგერ, თეთრი შროშნები ატმისფერზე, შავ ფონზე წითელი და ნაცრისფერი რგოლები, ცეცხლისფერი აბრეშუმი შავი ხოჭოებით და ვინ მოსთვლის კიდევ რა და რანაირ სახიან აბრეშუმს უშვებს ჩვენი საამქრო.

ღიღინებენ მჩითავები.

მეც მემღერება და მიხარია.

ქვეოსტატი თენგო ამივლის და ჩამივლის, აბდღვრიალებს შავ-შავ თვალებს. არა, ამას ისე ვამბობ, თორემ, მე რა?!

ამას წინათ ხელფასით წვრილქუსლიანი ფეხსაცმელი ვიყიდე, სარკის წინ ვიპრანჭე და ვიგრიხე, თმა ხან მაღლა ავიბულულე, ხან პატარა კიკინები ამოვიგრიხე ყურებთან, ხან მხრებზე ჩამოვიშალე, მაგრამ არ იქნა და არ მომეწონა ჩემი თავი, ბოლოს ხელი ჩავიქნიე, შენს ტყავში დაეტიე-თქო და ისევ ისე უბრალოდ გადავივარცხნე უკან.

წვრილქუსლიან ფეხსაცმელს კი ვატარებ, ყოველდილით მივბაკუნობ ქვაფენილზე, სამუშაოდ მივდივარ. მეეზოვე ცოცხს შეაყენებს და გზას მითმობს, ალმაცერად მიყურებს ფეხსაცმელზე და თავს იქნევს.

ბედი უცნაური რამ არისო, მართალი უთქვამთ. გატირებს და გაწვალებს, მერე უცბად გაგიღიმებს, სწორედ მაშინ, როცა არ ელი.

დილას ფაბრიკის შესასვლელთან ქვეოსტატი თენგო დამხვდა. გამარჯობაო, მითხრა, გაგიმარჯოს-თქო.

წინ გამატარა, ჯიხურიდან ყარაული გვიცქერის და თვალები უციმციმებს, მერე თვალი ჩაგვიკრა, რას გვანიშნებს არ მესმის. ადრე მოვსულვართო, მეუბნება ქვეოსტატი თენგო.

— ჰო, მეთქი?

— ჰოო-ვო.

მერე ორივენი გავჩუმდით, უსიტყვოდ ჩავუარეთ ბზის ბუჩქებს.

ისევ თენგო იღებს ხმას — კარგი მაჩვენებლები გაქვსო.

მე ვიღიმები. გეგმას აჭარბებო, თავს ვუქნევ, ისევ ვიღიმები. გულში კი ვფიქრობ — ეს რა ბზიკმა უკბინა ჩვენს ქვეოსტატს, მევე მაცნობს ჩემს თავს თუ რა არის?!

მივდივართ... ტაბელს ვაბრუნებთ, გრძელი დერეფანი უნდა გავიაროთ, თენგო მომდევს, მერე მაჩერებს, შიგ თვალებში მიცქერის და მეუბნება:

— ამაღამ კარგი ფილმი გადის „სპარტაკში". წამოხვალ?



აი, თურმე რა ყოფილა. მხრებს ვიჩეჩავ და ვეუბნები:

— არ ვიცი.

ფუი, რა სისულელე ვთქვი, ვერ ვუთხარი არა-თქო? ხომ უნდა გავიპრანჭო ცოტათი. იცინის თენგო და მეუბნება:

— როგორ თუ არ იცი? გადაწყვეტილია, მივდივართ, აი, ორი ბილეთი! — ჯიბიდან იღებს ორ ბილეთს და მაჩვენებს, — ოპერასთან გელოდები, შვიდ საათზე. — თქვა და გამშორდა.

სახტად დავრჩი.

გადაწყვეტილიაო? ერთი ამას დამიხედეთ. ვერ მოგართვი ვაჟბატონო!

— არ წავალ! — ვთქვი და გავათავე.

ვმუშაობ, თავს არ ვიღებ. დრო კი ტაატით გადის. დღეს მაინც აფორიაქებული ვარ. ყველას რომ დაემალო, თავის თავს სადღა დაემალები?! ვერ დამაყენე ჩემთვის, თენგო ბიჭო? შენ მოუკვდი დედაშენს, ნუღარვე. რომ ვუფიქრდები, მევე მიკვირს ჩემივ თავის: არა, მე არ ვიყავი სული რომ მებნეოდა ქვეოსტატზე, გულზე რომ ვსკდებოდი ყურადღებას რათ არ მაქცევს — თქო? სარკის წინ საათობით რომ ვიპრანჭები და ბებიას გულს რომ ვუსიებ, ესეც მისი გულისთვის არ არის? ახლა რას ვიფხორები, ვერ გამიგია. გოგო ვარ და იმიტომ, არა?!

მუშაობა დავამთავრეთ, დღის ნორმას გადავაჭარბე, დაფაზე იწერება პროცენტები. დაზგას ვასუფთავებ, ტანსაცმელს ვიცვლი და ხალხის ნიაღვარს მივყვები. თენგოს მოვკარი თვალი, სამღებროში რომ ქერა გოგო მუშაობს, მას უყვება რაღაცას, გულიანად იცინიან.

იმდენი იცინონ, სანამ მოეწყინებათ.

ფეხს ავუჩქარე და ათ წუთში ჩემს ქუჩაზე მივაბიჯებ. ლოყებზე ალმური ამდის, ცხელა და აბა რა მომივა?!

სახლში მისულს, მაგიდა გაწყობილი მხვდება, ვსადილობთ მე და ბებია. ვსადილობთ კი არა, ორი ლუკმა ძლივს გადავყლაპე, არ მინდა საჭმელი. ბებია ეჭვით მიყურებს, ათას კითხვას მაყრის, უკმაყოფილოდ იქნევს თავს და ბუზღუნებს. წიგნს წამოვავლე ხელი, კითხვას ვიწყებ; თქვენც არ მომიკვდეთ, არაფერი შემდის თავში. საათი ექვსს უჩვენებს. ხელპირს ვიბან. თმას ვივარცხნი ახლებურად, გვერდზე ვიყოფ და შუბლზე მოკლე კულულს ვიყენებ. ბებია მეკითხება:

— მიდიხარ, შვილო, სადმე?

— არა! — ვეუბნები მე.

აივანზე გამოვდივარ, მეზობლის კნუტს ვეთამაშები, მერე ცივი წყალი ამომაქვს ეზოდან დოქით. უკვე შვიდისნახევარი ხდება.

გახდეს რა, მე რა მესაქმება!

ისევ წიგნს ვიღებ. მეზობლის გოგო შემოვიდა, გამიხარდა, გულს გადავაყოლებ. ის კი არ ჩერდება, ეჩქარება, თვალებზე ვატყობ სათქმელი აქვს, ყურში მეჩურჩულება:

— პაემანზე მივდივარ, პირველად! — თვალები უბრწყინავს. ჩემს წინ ტრიალებს და მეკითხება: — როგორი ვარ? ჰა? — მეღიმება, ვეფერები, მერე კარადის უჯრიდან მარგალიტის ყელსაბამს ვიღებ, დედისეულ სახსოვარს და აღელვებულ გოგოს ვაძლევ.

— გაიკეთე, დაგშვენდება!

სიხარულისაგან ყელზე მეხვევა, მკოცნის და გარეთ გარბის.

მე კი სახლში უნდა ვიჯდე. შვიდ საათზე ოპერასთან მოვა თენგო, დაიღლება ლოდინით, რა სახე ექნება?

ვითომ კარგად ვიქცევი?

პრანჭიები ჭირის დღესავით მეჯავრებოდნენ მთელი ჩემი სიცოცხლე. ახლა რა ღმერთი მიწყრება?

ხომ მინდა წასვლა? მინდა. მერე და რა არის ამაში ცუდი? არაფერი. თენგო ხომ არის კარგი ახალგაზრდა? არის. დააშავა რამე? არა. აბა რაზე ვუწყრები?

წავალ... წავალ... წავალ...

შვიდს უკლია თხუთმეტი წუთი. სასწრაფოდ ვიცვამ, თმას ვისწორებ და ბებიასთან გავრბივარ აივანზე. ხელებს წელზე ვხვევ და იატაკს ვაცილებ.

— ბებიკო, ჩემო ბუზღუნა ბებიკო, ვისწავლი, უმაღლესში ვისწავლი. დედას გეფიცები, გესმის, ბები?

ბებია გაკვირვებით მიყურებს, არაფერი ესმის, ხელს ვუქნევ და კიბეებზე ჩავრბივარ.

ნიავი კაბას მიფრიალებს, ჭადრები ხმაურით მეგებებიან, თავზე დამყურებს ჩემი ლამაზი თბილისის ცა, ოცნებასავით უნაპირო და წარმტაცი.

ჩვიდმეტი წლისა შევსრულდი, ახლა მე ქალიშვილი ვარ, მაგრამ მაინც თხა გოგოს მეძახიან, მეფერებიან თუ მართლა თხა ვარ, არ ვიცი.

## [illegible]

ეთერ ჯღამაძე

### დათო

ჯერ ხუთი წლის არც კი არის —
აი რას სთხოვს დედას დათო:
მეც სკოლაში წასვლა მინდა,
გთხოვ, დედიკო, ნება დამრთო.

ხუთოსანი გახლავარო —
სულ მაჯავრებს ჩვენი გია,
მან თუ კარგი კითხვა იცის,
მეც ხომ ვიცი „აი ია?“



### სახლის მცველი

დილით ჩემმა დედიკომ
სახლის მცველად დამტოვა.
ჭურჭელს ვრეცხავ, ვალაგებ,
განა მართლა მარტო ვარ?

მურია და ბროლიაც
ჩემთან ერთად არიან.
ვიცი დედა მადლობას
მეტყვის და მიხარია.

ნოდარ შამანაძე

### სიზმარი

უეცრად გამოიღვიძა
ღამით პატარა თამარმა,
შეშინებული ტიროდა,
სახე ცრემლებით დანამა.
დედას ხელს ხვევდა: სიზმარში
ვითომ შენ იყავ ავადა,
ექიმიც ველარ გშველოდა,
მწვავე ტკივილი გძალავდა.
ბებია ჩუმად ტიროდა,
მე ვქვითინებდი ხმამაღლა;
არ მინდა ძილი, არ მინდა,
არ დავიძინებ ამაღამ!
— იყუჩე, ჩემო პატარავ,
ჩემო ღუღუნა ქედანო,
ოღონდ შენ კარგად იყავი,
კარგად იქნება დედაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ, შრომელები...



სოფლის ცენტრი. ადმინისტრაციული შენობის წინ აღმართულია ს. ორჯონიკიძის ძეგლი

ერთი გაუბედურებული სოფელი იყო, ხრიოკ კონცხზე ჩიტის ბუდესავით შერჩენილი. სახელი საღვთო ერქვა — მიქელ-გაბრიელი და ღვთისანაბარადაც იყო მიტოვებული. შრომობდა ამ სოფელში ყველა ერთისათვის და იმ ერთის გარდა ყველას დავიწყებოდა ღიმილი.

გამთენიისას, როცა მამლები შეუხშირებდნენ, აქა-იქ გაიღებოდა ისლით დახურული ქოხის კარები, დირეს ფალასით თავწაკრული მამაკაცი გადმოაბიჯებდა, ლაფაროში თოხს მოიძებნიდა და ეზოს გადაღმა გადადიოდა. საღამოს წელმოწყვეტილი ბრუნდებოდა შინ და ხვდებოდა კვამლით სავსე ქოხი, თვალში სინათლეგამოლეული ცოლი და გაყვითლებული ბავშვებით სავსე ნაცარი.

იმ სოფელს ახლა შრომა ჰქვია, ადამიანური სახელი, და ამწვანებულ ფერდობებზე ღონივრად არის მხრებმოქნეული. შრომა ჰქვია და შრომით არის აშენებული და დამშვენებული. შრომობს ამ სოფელში ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის და ყველანი გულღიად იღიმებიან.

დილით, როცა ცის კარი გაიხსნება, თითქმის ერთსადაიმავე დროს იღება მტკიცედ და კოხტად ნაშენი ოდასახლების კარები, მაღალ კიბეებს მსუბუქად ჩამოირბენენ მომღიმარე ადამიანები, ჩქარი ნაბიჯებით გადაჭრიან ნაირნაირი ხეხილითა და ციტრუსებით დაბურულ ეზოებს, მოასფალტებულ შარაგზაზე გასულები, მშვიდობის დილას უსურვებენ ერთმანეთს, მერე ჯგუფებად დანაწილდებიან და მინდვრებს მიაშურებენ. საღამოს შინდაბრუნებულებს, ხვდებათ ელექტროშუქით გაბდღვიალებული სახლი, შვილების კმაყოფილი ღიმილი, სითბო, სიუხვე და მყუდროება.

მახარაძის რაიონშია შრომა, სოფელი, განთქმული მძლავრი საზოგადოებრივი მეურნეობით, ქართული სტუმართმოყვარეობით და ამ მეურნეობის შემქმნელი ადამიანებით.

და პირველად მათი მარჯვენა უნდა დავლოცოთ.

* * *

ახლაც ვერ იტყვის, რატომ შევიდა საფერშლო სასწავლებელში. სკოლაში ბეჯითობით გამორჩეულ გოგონას, ექიმობისაკენ არ მიუწევდა გული.

ექიმობა არ სურდა და თავისთავს მაინც არ უღალატა: წარჩინებით დაამთავრა მახარაძის საფერშლო სასწავლებელი. შინდაბრუნებულმა, ატესტატი დედას უჩვენა, მერე ორად მოკეცა, უჯრაში შეინახა, შეინახა, რომ არასოდეს აღარ ამოეღო და განაცხადა:

— ხვალიდან კოლმეურნეობაში ვიწყებ მუშაობას. ჩაი უნდა ვკრიფო!

ეამა დედას: კოლმეურნეობისათვის საშური დღეები იდგა. „ხელს წაგვაშველებს, ამასობაში სადმე ფერშლის ადგილიც გამოჩნდება, ცოტას წაიმუშავებს, მერე თბილისში წავა და „დოხტური“ დამიბრუნდებაო“.

საშუალო ძმა, დინჯი და დაკვირვებული გიორგი მიმხვდურად შეაცქერდა დას ჰკვიან თვალებში და ფიქრიანად თქვა:

— იქნებ შენი არჩევანი სწორი იყოს, ტატიანა!

ნაამები იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხაკო ორაგველიძე. იცნობდა იგი ტატიანას, მის ბეჯითობასა და შემართებას. სკოლიდან თავისუფალ დროს ყოველთვის მხარში ედგა დედას და ტოლს არ უდებდა ჩაის კრეფაში.

კოლმეურნეობის ყოველ ბრიგადაში თითო „წითელალმიანი კალათი“ იყო შემოღებული. ამ კალათით სარგებლობის უფლება მხოლოდ მას ეძლეოდა, ვინც ყველაზე მეტ ჩაის ფოთოლს მოკრეფდა.

სასწავლებლიდან საზაფხულო არდადეგებზე დაბრუნებულმა ტატიანამ მეხუთე ბრიგადის კალათი ქამარზე მიიბა და თქვა:

გამოემშვიდობეთ ამ კალათს. მე მას აღარავის დავუთმობ.

ცეცხლი მოიკიდეს ქალებმა. მჯობნის მჯობნს რა დალევს კოლმეურნეობაში! ტატიანას კი მაინც ვერავინ აჯობა ბრიგადაში, ვერავინ წაართვა კალათი.

ულვაშებში ეცინებოდა მიხაკო ორაგველიძეს:

— უსაშველო ყოფილა ეს ჩვენი ფერშალი. სხვა გზა არ არის, მეორე ასეთი კალათი უნდა შემოვიღოთო.

გულით ხარობდა ახლა კოლმეურნეთა თავკაცი: შრომელთა ერთსულოვან კოლექტივს ემატებოდა კიდევ ერთი საიმედო წევრი, ემატებოდა ჩაის კრეფის მომავალი დიდოსტატი ტატიანა ჩხაიძე.

* * *

23 წელი გავიდა მას შემდეგ. ალალმართალი მშრომელი გლეხის ნესტორ იობიშვილის ნაბოლარა შვილის სახელი შორს გასცდა სოფელ შრომის, მახარაძის რაიონის, საქართველოს ფარგლებს. იგი ჩვენი ქვეყნის ცნობილი ქალი გახდა, ჩამოყალიბდა, როგორც ახალი, კომუნისტური იდეების ადამიანი.

ტატიანა თავიდანვე ჩაწვდა იმ დიდ ადამიანურ სიმართლეს, რასაც საბჭოთა სოციალისტური წყობილება ამკვიდრებდა. გრძნობდა, რომ მხოლოდ პატიოსან შრომას შეეძლო ადამიანთა მილიონების გამოყვანა ბედნიერი ცხოვრების გზაზე. ბევრი რამ მაინც გაუგებარი იყო მისთვის. ეს შეგნება უფრო გვიან მოვიდა, იგი გაუღვივა ცხოვრების შუაგულში მუდმივმა ტრიალმა, კარგ ხალხთან ურთიერთობამ, თავისთავზე მუშაობამ, ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა დიდმა ძვრებმა, მოწინავე ადამიანებთან ხშირმა შეხვედრებმა.

განსაკუთრებული კვალი დააჩნია ტატიანას შეგნებას დიდმა სამამულო ომმა. ფრონტზე საყვარელი ქმრის გაცილების შემდეგ, შინ მობრუნებული შვებას თავაუღებლივ შრომაში პოვებდა. იმ მძიმე დღეებში მთელი ჩვენი ქვეყანა ერთ მთლიან მტკიცე კოლექტივად შეიკრა. მისი ყოველი წევრი მთელ თავის ფიზიკურ და სულიერ ძალებს მტერზე გამარჯვების საქმეს ახმარდა. კიდევ უფრო ხელშესახებად იგრძნო მაშინ ტატიანამ ერთიანობის ძალა.

ახლა ტატიანა თავისი განვლილი გზიდან ზოგ რამეს სინდისის ქეჯნით იგონებს. მას უხერხულობაში აყენებს, მაგალითად, „წითელალმიანი კალათის“ ისტორიის გახსენება. ცხადია, არა იმ შრომითი შემართების გამო, რასაც იგი მაშინ იჩენდა, არამედ იმდროინდელი განწყობილების გამო: მას არ აწუხებდა სხვების ჩამორჩენა, ნორმალურად მიაჩნდა მხოლოდ თავისთავისათვის ეზრუნა. უფრო გვიან გაიგო ტატიანამ ეგოიზმის არსი და გუნებაში მკაცრად გაკიცხა თავისთავი, იმასაც მიხვდა, რომ მარტო ერთეულთა რეკორდები ამინდს ვერ შექმნიდა, გადამწყ-

ვეტ გავლენას ვერ მოახდენდა კოლექტივის წარმატებაზე, მიხვდა და მას შემდეგ დროს და ენერგიას არ იშურებს სხვების დასახმარებლად, ჩაის მკრეფავთა ახალი კადრების აღსაზრდელად. მას სიხარულს ანიჭებს სხვების დაწინაურება.

ტატიანა რგოლს ხელმძღვანელობს კოლმეურნეობაში. მისი რგოლი იმის თვალნათლივ მაგალითს იძლევა, თუ როგორ უნდა შრომა საზოგადოებრივი მეურნეობის განსამტკიცებლად, ჩაის მოსავლიანობის გასადიდებლად. რგოლში, ტატიანას გარდა, სამი ქალი — შურა კუბუსიძე, ნინო გოგოძე და მაშო ჩხაიძე — სოციალისტური შრომის გმირები და ჩაის კრეფის ოსტატები არიან. თავისი ხელმძღვანელის გამოცდილებას ხუთი თითივით იცნობს რგოლის ყველა წევრი. პრინციპი — ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის — მტკიცედ არის დანერგილი ამ პატარა მებრძოლი კოლექტივის მუშაობაში. ვთქვათ, შეუძლოდ შეიქნა რომელიმე მათგანი. მისი ნაკვეთი უყურადღებოდ არ რჩება. მორჩებიან თუ არა თავიანთ ნაკვეთზე მუშაობას, ყველა მეგობრის ნაკვეთს მიაშურებს. ამასთან შესრულებულ სამუშაოს მას უწერენ. ანდა, თუ გარკვეულ მომენტში ერთ ნაკვეთზე უხვად შემოვიდა ჩაის ფოთოლი, მაშინ ამ ნაკვეთის მომვლელს ყველა ეხმარება, და ასე ხდება ყოველთვის, როცა საქმის გადადება შეუძლია ზიანი მოიტანოს. რგოლი — 12 ქალი — 4 ჰექტარ ჩაის უვლის. შარშან გეგმით 37 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოეკრიფათ, მოკრიფეს 48 ტონა, ჰექტარზე საშუალოდ 12 ტონა. ეს საკმაოდ მაღალი მოსავალია. რგოლის ყველა წევრმა შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. ყველაზე უხუცესმა, 60 წლის ალექსანდრა ჩხაიძემ კი 3 ტონა ფოთოლი მოკრიფა. თვითონ ტატიანამ 12 ტონა ფოთოლი აიღო 0,8 ჰექტარზე.

ტატიანა ჩხაიძის გამოცდილება ეხმარება არამარტო ამ პატარა რგოლს, არამედ მთელ კოლმეურნეობას, სადაც შექმნილია ტატიანას გამოცდილების შემსწავლელი სკოლა 50 ქალისათვის, მახარაძის რაიონის სხვა კოლმეურნეობებსაც, მთელი ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებს. ტატიანა ეხმარება მოსწავლე ახალგაზრდებს, რომლებსაც სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში დარჩენა აქვთ გადაწყვეტილი.

ბევრი მეგობარი ჰყავს ტატიანას ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანთა შორის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დეკემბრის პლენუმზე მოსკოვში, რომლის მონაწილეც ტატიანა იყო, იგი დაუმეგობრდა უკრაინელ კოლმეურნეებს: სოციალისტური შრომის ორგზის გმირს, მექარხლე ოლღა დიპმანს და სახელგანთქმულ მწველავს რაისა კოსტს, მათ მანამდეც გაეგონათ ტატიანას კარგი ქალობის ამბავი.

ტატიანას მეგობართა წრე კიდევ უფრო გაფართოვდა სკკპ XXII ყრილობის დღეებში. ტატიანას, ამ ყრილობის დელეგატს, საინტერესო შეხვედრები და საუბრები ჰქონდა ყრილობაზე მყოფ მოწინავე ადამიანებთან. სწორედ იმ დღეებში ტატიანამ წერილი მიიღო ლიტვიდან. იმ ნაწილის მეთაურები და პირადი შემადგენლობა, სადაც მისი შვილი ანზორი სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიოდა, სთხოვდნენ ტატიანას სწვევოდა მათ ნაწილს, რათა პირადად შეხვედროდნენ სახელგანთქმულ მეჩაიე ქალს, მადლობა ეთქვათ შესანიშნავი შვილის აღზრდისათვის.

პატიოსანმა შრომამ განადიდა ტატიანა, აქცია იგი ჩვენი ქვეყნის მოწინავე ქალად. ამიტომ არის ასე ხშირად რომ ამბობს იგი:

— მთავარია შრომა, პატიოსანი და შეგნებული, მთავარია გიყვარდეს ის საქმე, რასაც აკეთებ. საზოგადოებრივი ყოველთვის დააყენო პირადულზე მაღლა, რადგან სწორედ ეს არის პირადი ბედნიერების განმსაზღვრელიც.

ზღაპარს ჰგავს ტატიანას (და ათასობით მისთანების) ცხოვრება. ღარიბი გლეხის შვილი, გლეხისა, რომლის ხვედრი არც თუ დიდი ხნის წინათ, სავალალო იყო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია და სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია და მონაწილეობას იღებს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისათვის სახელმძღვანელო დადგენილებების შემუშავებაში. შეგნებული და პატიოსანი შრომისათვის მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის სახელი, დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

თითქოს დასაჩივლი არა აქვს რა ტატიანას, აქვს ალალმართალი შრომით მოხვეჭილი დიდი სახელი, შესანიშნავი ოჯახი. კოლმეურნეობა, რომლის განმტკიცებასა და წინსვლას თითქმის მეოთხედი საუკუნეა ემსახურება, ერთერთი მძლავრი საზოგადოებრივი მეურნეობაა რესპუბლი-

სოფლის სასადილო





კაში, მისი წევრები იმკიან უანგარო შრომის ნაყოფს, ცხოვრობენ კულტურულად, ოჯახი სავსე აქვთ დოვლათით, იციან მტერ-მოყვარის კარგი დახვედრა. სოფელში ახლა არავის აკვირვებს რადიომიმღები, მაცივარი, სარეცხი მანქანა, მტვერსასრუტი, გაზის ქურა, ძვირფასი ავეჯი, პატარა ქალაქს ჰგავს შრომა, თავისი შესანიშნავი საზოგადოებრივი ნაგებობებით და კოლმეურნეთა კოხტა სახლებით, ასფალტით დაფენილი შარაგზებით...

მაგრამ მაინც არ ისვენებს ტატიანა, არ ასვენებს მეგობრებს. იგი მუდმივ ძიებაშია, მუდმივ წინ ისწრაფვის, მუდმივ იმის ზრუნვაშია, რომ სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასახული ყოველი ახალი ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლის პირველ რიგებში იყოს და მეგობრებიც გაიყოლიოს.

* * *

ახლა შრომაში თბილი ამინდები დგას. კოლმეურნეები მზად არიან საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. მალე წამოვა ჩაი... უფრო გვიან სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა თავის მიღწევებზე, ალბათ, სამშობლოს უპატაკებს:

— ჩვენ, შრომელები... — და ამ მიღწევებში კვლავ თვალსაჩინო იქნება ტატიანა ჩხაიძისა და მისი მეგობრების წვლილი.

**შ. კალანდაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალა ვაჩარაძე

# ისევ დაგვიბრუნდები...

მხატვარი **დ. ერისთავი**

## მოთხრობა

გზაჯვარედინთან, სოფლის განაპირას ბაღია. ბაღი მწვანეში ჩამჯდარა. ბაღში იფნებია და იფნურები, ბზები და პალმები, ვარდებია და სხვა ყვავილებიც. ბაღი დიდია და დაწნული მავთულით არის შემოღობილი. ბაღთან შარაგზა მოდის. შარაგზას ხელმარცხნივ აკაციის ხეივანი გასდევს. რკინის დიდ ჭიშკარს ქოლგებივით ამართული ნაძვები ჩრდილავს. ჩრდილში სკამი დგას და ბიჭები სხედან, ოხუნჯობენ, ერთობიან...

უეცრად ექვსი წყვილი თვალი შარაგზას ეტანება. ხეივანს ტანკენარი ქალიშვილი მოჰყვება. მოდის ნელა, მსუბუქი რხევით, მოდის და თითქოს ნაბიჯებს ითვლის, თითქოსდა უჭირს, უჭირს და მაინც მოდის. გზადაგზა ისვენებს, თვალი ღობეებს იქით გაურბის, თვალწარმტაც ეზოებში. ქალიშვილი მოხდენილია და უცხო.

— ჯიშიან ცხენს და ქალს კოჭებზე ეტყობაო, — ღიმილით წამოიწია ერთი და ქალიშვილზე მიანიშნა.

— მერე, ამ ქალიშვილს თუ ეტყობა ჯიშიანობა? — ცნობისმოყვარეობით იკითხა მეორემ და, მომავალი უფრო კარგად რომ დაენახა, თვალებს სიდიდე მოაკლო, ოდნავ მოხუჭა.

— ვერ ხედავ?.. ჭეირანივით მოაბიჯებს! — ისე შეარხია მხრები მესამემ, თითქოს ყველაზე სათქმელი ეთქვას. თავი ეშმაკურად გადააქნია, სიმინდის მარცვლებივით ჩაწკარებული კბილები გამოაჩინა.

ყველანი გულიანად ახარხარდნენ. ანთებული თვალები ჩრდილ-ჩრდილ მომავალ ქალიშვილს არ ცილდებოდნენ. სახეზე სიამოვნების ღიმილი დაჰკრავდათ...

აგერ, მოახლოვდა კიდეც უცნობი. თავდახრით მოდიოდა. მაინც იგრძნო, დაჟინებით რომ უცქერდნენ, იგრძნო და გაწითლდა. ხედავს, შარაგზას სწორედ მათთან მიჰყავს. ბაღის დიდ ჭიშკართან. აქ კი გზა იყრება — მარჯვნივ და მარცხნივ შლის ფრთებს. რომელი გზით წავიდეს? არ იცის. სულ ახლოსაა ყმაწვილებთან, მაგრამ კითხვა უჭირს. თავდახრით ჩაიარა. გზაჯვარედინთან შეჩერდა. ძნელია გაგნება. სხვა გზა არ არის, უნდა იკითხოს. რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა ყმაწვილებისკენ. ძლივს გახსნა ბაგე:

— მითხარით, რომელი გზა მიმიყვანს ლევან ნათიძის სახლში?

ყმაწვილები უეცრად წამოდგნენ. ქალიშვილს გაკვირვებით შეჰყურებენ. იგი ახლოს უფრო მომხიბლავია და ლამაზი. ნუშისებურად ჭრილი თვალები აქვს, მომწვანო ფერის. ტუჩები — ცეცხლმოდებული...

თითქოს პირი შეეკრათ, ისე დგანან. ხმას არც ერთი არ ძრავს.

პასუხს ერთმანეთს უთმობენ... ან რა უპასუხონ... რამდენი წელია ეს სახელი და გვარი მოგონებას ჩაბარდა! დღემდე არავის გახსენებია აქ მოსვლა. მტრისას და ავისას, ჭიშკართან გამვლელი თუ ამოატანდა გულს ოხვრას. ეს იყო და ეს. ახლა...

ჭაბუკებს ერთი გამოეყო, ყველაზე მეტად შეცბუნებული, ქალიშვილთან ახლოს მივიდა, სულ ახლოს. ვერ დარწმუნდა, მართლა ასე თქვა, თუ მოეჩვენა.

— ლევან ნათიძის სახლს კითხულობთ?

— დიახ!..

— იქ რომ არავინ ცხოვრობს?... — ენის ბორძიკით ამბობს ყმაწვილი და უცნობს აკვირდება.

— ვიცი!... — ძლივს პასუხობს ქალიშვილი და თავს ებრძვის.

— მე წაგიყვანთ! — თავაზობს ჭაბუკი და გზას ადგება.

„კაცის თვალს ძალით რომ მიიტაცებს, ისეთი ქალია“, ფიქრობს ჭაბუკი გულში. ხმას არ იღებს. დუმილით მიუყვება ქუჩას.

— დაგსაჯეთ, არა? — მორცხვად იღიმება ქალიშვილი.

— თუ ამას დასჯა ჰქვია?... — უღიმის ყმაწვილიც.

„რა ნაცნობია ეს ღიმილი... თვალებიც. ვინ იცის, იქნებ...“ ქალიშვილმა თვალი შეაპარა მეგზურს, იგი შავგვრემანია და შავთვალწარბა. კუნაპეტივით შავი თვალები აქვს... თმაც. ახოვანია და კეთილი სახის...

„ვინ უნდა იყოს? აქ მოსვლა ჯერ არავის უფიქრია. ნანასაც კი, სახლის პატრონს... ნეტავი, როგორია ნანა?“ — ყმაწვილს ნანაზე ფიქრები ეშლება და უცნობს აკვირდება.,.

უცნობს აქეთ-იქით გაურბის თვალი. სად გაიხედოს, რომელ ეზოში. ყველა ოდა ლამაზია და თვალისმიმტაცი. ყველა ეზო მოვარდულია და დაჩრდილული, ხეხილით სავსე. აქეთ ალმურმოდებული ატმები, იქით, მწვანე ფოთლოვანში, დიდი და ფართო ლეღვები, გარედან ბინდისფერი რომ დაჰკრავთ და შიგნით სისხლისფრად ღვივიან. ვაზებზე სანთლივით მტევნები ანათებენ. აგერ, კომშის ხის წვერზე, თითისხელა ბიჭუნა ირწევა ნიავთან ერთად და ოქროსფერ ნაყოფს ბუსუსებს აცლის. სიუხვეა ყველგან ფერთა და ფრინველთა. ლაფაროსთან ლაბუა წიწილები ირევიან, გაფხორილი კრუხი კრიახობს. კოინდარს ჭრელ-ჭრელი დედლები და ვარიები კიკნიან. დედალორს გოჭები ჩიჩქნიან ცხვირით... მარტო იქ, იმ ეზოში არ დგას სახლი, ეზო დაჩრდილული არაა. ხეხილი არ ჩანს. არც ყვავილები ყელყელაობენ. მწირივით გამოიყურება დაძველებული სამზადი...

ასე არ იყო მაშინ... ბროწეულის წნულიან ღობეში ანთებული ჩირაღდნებივით გიზგიზებდნენ ცინცხალა ყვავილები. თეთრად იბენტებოდნენ ტყემლები და ალუბლები. ვარდისფრად ღვივოდნენ ნუშისა და ატმის ხეები. წითლად ლაღანებდნენ ბლები და ალუბლები,.. ახლა? — სახლის ნაცვლად — ნასახლარი...

— მოვედით! — შეაკრთო უცებ ვაჟის ხმამ ჩაფიქრებული. გუმანი გამართლდა. გონება დაებინდა... მორყეულ ალაყაფზე ძლივს გადავიდა. ბოლმა გულზე შოაწვა. ეგონა, გული ათასად გაეყო და გაებზარა.,.

უეცრად ნაგაზს დაადგა თვალი. ნაგაზი ნასახლარზე იწვა... მათ დანახვაზე წელი ძლივს აითრია, კუდისქნევით წამოვიდა. ჯერ ჭაბუკი ძოლოკა ენით, მერე ქალიშვილი დაყნოსა და აწკმუტუნდა...

ქალიშვილის ჩაზნექილ წამწამებს ცრემლები ჩამოუყვა და ლაწვებს წანწკარით ჩასდია.,. უცებ ხმა ჩაესმა — ალერსიანი, თბილი, ტკბილი. მოეჩვენა: თითქოს დედა უხმობდა — თავსაფარწაკრული, ჭრელწინსაფრიანი დედა. გააურჟოლა, სახეზე ბუსუსები წამოეშალა. თვალები მოხუჭა, თვალწინ დაუდგა მოფუსფუსე დედა და ბალღურად ატირდა.

ვაჟი შეცბა.

— ნანა!..

— ვაჟა!..

ცრემლებით დანისლულ თვალებს ჩააკვირდა ვაჟა. წვიმის წვეთებით დაცვარულ ნუშის ფოთლებს ჰგავდნენ ისინი. დიდი და მწვანე იყო ნანას თვალები. ზღვასავით უძირო და მწვანე...

მყის გაახსენდა ვაჟას: ონავარობდნენ პატარები. იბუტებოდნენ. ალვის ხეების ძირში ქვაზე ჩამოსხდებოდნენ ბეღურებივით და ბუტბუტებდნენ... მერე ნანა ისე შორს წაიყვანეს, ვაჟა ველარ ხედავდა... და რამოდენა ქალია ახლა ის პატარა ნანა, ეზო-ეზო რომ დარბოდა მასთან ერთად. აი, როგორია ახლა ნანა — უცხო და შორეული. ვაჟამ ეს იგრძნო და შეწუხდა...

ნასახლარზე იდგნენ თავდახრილები. მოგონებაში ცოცხლდებოდა მწარე წარსული...



ენადაბორკილმა ფოსტალიონმა ნიკიფორემ რაღაც წყეული ქაღალდი ჩამოაგდო ეზოში მაშინ და... აკივლდა ბებია, დედაც, ყვილანი... ოჯახის თავი ომში დაიღუპა... სახლში თეთრი ალარაფერი დატოვეს. ჭიშკართან ალვის ხეებსაც შავი შემოახვიეს. ბევრი არაფერი გაეგებოდა ციცქნა გოგონას. უკვირდა მხოლოდ... სიკვდილი მაშინ ეჩვენა საშინელი, როცა კედელ-ყურე დამუნჯდა, სახლი ერთიანად დაცარიელდა — ბებია შვილის უბედურებამ გადაიყოლა. მალე დედაც, დარდისაგან გატეხილი, ბებიას კვალს გაჰყვა და ღვთის ანაბარად დარჩენილ შვილზე ფიქრი დარდად ჩაიტანა სამარეში.

შვილმა მეზობლის ჭერქვეშ იპოვა თავშესაფარი. ტოლმა ტოლთან შვება იგრძნო. პატარა ვაჟასთან დაჭირითობდა ეზო-ეზო. შეეჩვია, შეიყვარა სხვისი სახლი, მაგრამ...

მაშინ ყველას უჭირდა. უჭირდა ვაჟას დედასაც და... ნანას გზა საბავშვო სახლთან მივიდა. უკან დარჩა აცრემლებული ვაჟა და აკმუტუნებული ნაგაზი...

უმძიმდა ნანას. ნაღვლობდა და ქვითინებდა. თავს დატრიალებდნენ აღმზრდელები, სითბო არ აკლდა, არც ალერსი, სოფელს ჩემობდა მაინც. სოფელში კი...

უკაცურობა პირველად სახლის კიბეებს დაეტყო — ხავსი მოედო. დრომ თავისი წაიღო — სახლი დაიძველა...

უჭირდა სახლს ფეხზე დგომა. უჭირდა სოფელსაც შეკეთება... ორიოდე სახიჩარი კაცი თუ დაბობღავდა სოფლად. საქალკაცო საქმეს ქალები ეჭიდებოდნენ, ბავშვები ქალებს უტოლდებოდნენ... დაშალეს ოდესღაც ლამაზი ოდა-სახლი, დაშალეს ფრთხილად, შეინახეს მშრალად, სამზადის ჭერქვეშ. შეაკეთეს სამზადი... უპატრონო ეზოში თესავდნენ და მკიდნენ. მოსავალს ფულად აქცევდნენ — ნასახლარი სახლს ითხოვდა, ობლად დარჩენილი — ნუგეშს, დამხმარეს... მზრუნველი ხელი ეზოსაც ეტყობოდა. ყველაფერი იყო სუფთად, ადგილზე. გადამხმარი ხეების ნაცვლად ახალ-ახალი ნერგები წამოჩიტულიყვნენ... სოფელი ნანას არ ივიწყებდა, სოფლის შვილს ისევ სოფელში ელოდა.

იდგა თავდახრილი ნანა და აგონდებოდა:

— ეს სოფელმა გამოგიგზავნა, შვილო. შენთან გამომატანეს! — ნაირ-ნაირებს ალაგებდა ვაჟას დედა: ჩირები და ჩურჩხელები, ტკბილები და ნამცხვრები, თბილები და საზაფხულოები...

— ესენი სოფელში ბავშვებს წაუღე, — უკან აწყობდა ნანა თბილებს და საზაფხულოებს, — მე არ მაკლია. ამათ კი... — თვალებგაფართოებული გოგონა ჩურჩხელებს ეტანებოდა, ჩირები ხელიდან ხელში გადამქონდა. დებივით შეზრდილებს იპატიჟებდა...

— კიდევ მოვალ, შვილო! არ იდარდო!.. შენამული თვალებით უბარებდა წასვლისას დეიდა ქეთო. ეს სიტყვები აუგეშებდნენ მა-

შინ ნანას, მოლოდინში მიდიოდა დღეები... ახლა კი... მათთანაა, სოფელში.

* * *

— მთის ჩიტი მთას შეაკვდაო რომ ამბობენ, ტყუილია, ბაბა? — გზადაგზა მოლაპარაკობდა ლუკაია და ტანზე უგრძეს ხელებს მოაქანავებდა.

— აბა, ეს ნანგრევები რეიზა შემევინახეთ, შენი არ მიკვირს? — ამაყად პასუხობდა ჯოხსდაბჯენილი სერაფიონი და ყალიონს უპლაკუნებდა... მორბოდა ყველა—დიდი და პატარა, ქალი და კაცი. მორბოდა ენადაბორკილი ნიკიფორეც... უხაროდათ და იგონებდნენ, იგონებდნენ და იცრემლებოდნენ..

— ისევ დაგიბრუნდები!.. — ჩაუჩურჩულა ნანამ ნასახლარს. ნაგაზს მოეხვია და წავიდა. წავიდა და ოდის აშენებაზე ფიქრიც წაიყოლია. ნაცნობი ღიმილით გააცილა ვაჟამ. თუმცა ნაცნობი იყო ეს ღიმილი, მაინც უცხო და უჩვეულო ჩანდა. იგი არ ჰგავდა მეხსიერებაში ჩარჩენილ ღიმილს. ვაჟას თვალებში უცნაური ცეცხლი ენთო, ნაპერწკლებს რომ კვესავდნენ, ნაპერწკლებს, გულში ტკბილად რომ ილვრებიან, გულთან სითბო და სიხარული რომ მიაქვთ. ამ ნაპერწკლებმა შეაკრთეს ნანა. თვალები ძირს დაახრევინეს...

* * *

მატარებელი მთა-გორებში ჩაკარგულ გზებზე მიიკლაკნება. მიდის და ქშინავს, კივის, რახრახებს.

თვალშეუსწრებლად გარბიან ხეები. ბუჩქები ასწრებენ ერთმანეთს, თვალს ეფარებიან...

ნანა ფანჯარასთან დგას და ოცნებობს. ნებივრობს მთებიდან მონაბერი ნიავი ნანას ხვეულ თმაში, უწეწავს... სახლს სახლი გასდევს, მთებს ცვლიან მთები. რამდენი გზა გადაუვლია. მისი ფიქრები ისევ სოფელშია. თითქოს მატარებელსაც ესმის მისი. აჩქარებით მოჰყავს სოფელსმონატრებული ექიმი. ეზოში შესულს ის ნაგაზი შემოხვდება ისევ. იცნობს დიდი ხნის უნახავ პატრონს და წკმუტუნს მოჰყვება...

კიდევ?

ის სამზადი სახლიც დახვდება, პატარა ჭერს რომ შეაფარა ოდის ნანგრევები. ამ მამაპაპისეულ სახლს ნანა არ მოშლის. იმ ძალაგამოცლილ ნაგაზს, ნასახლარის ერთგულ მწყემსს, თვალისჩინივით გაუფრთხილდება... ვერც მის აღმზრდელ სახლს დაივიწყებს ნანა, დღემდე რომ მშობლივით უპატრონა. გზას ღიმილი გაუნათებს, ვაჟას ღიმილი. მარტო ვაჟამ იცის ასეთი ღიმილი. მხოლოდ ვაჟას აქვს ასე გულისშემძვრელი თვალები, ჰოდა.., აწი ასე აღარ იქნება... ნასახლარზე ლამაზი ოდა-სახლი წამოიჭიმება. ეზოში ჩრდილი იქნება და ხილიც. ჭიშკართან ისევ იშარიშურებს ალვის ფოთლები. კერიაზე ცეცხლი აგიზგიზდება, დიდი ცეცხლი. ჯირკები ალისფრად ჩაიღვენთებიან... ეზოში ძროხა აბღავლდება და ნიშა ხბო ირბენს. ლაფაროსთან კრუხი აკრუხუნდება და წიწილები აწივლდებიან. კიდევ რამდენი ვარდ-ყვავილობის თვე მოვა. რამდენჯერ იფეთქებენ ნუშისა და ატმის კვირტები... რამდენჯერ მოედება ბროწეულის წნულიან ღობეს ცინცხალა ყვავილები... ასე იყო მაშინ, ნანას ბავშვობაში, აწიც ასე იქნება, მაგრამ ისინი აღარ იქნებიან — დედა... მამა... ბებია... ომის მსხვერპლნი...

ნანას თვალებს ცრემლი ბინდივით გაეკრა. მაშინ ნანამ არ იცოდა რა იყო ომი. ახლა ეს იცის ნანამ და...

მატარებლის კივილი და მოძალებული ქშენა ფიქრებს უფრთხობს... ჩემოდანს სწვდება. ჩქარობს...

გზაჯვარედინთან, სოფლის განაპირას ბაღია. ბაღში იფნებია და იფნურები. ბზები და პალმები. ვარდებია და სხვა ყვავილებიც. ბაღთან შარაგზა მოდის. აქ კი ფრთებს შლის მარჯვნივ და მარცხნივ. ძნელი აღარაა გაგნება. ახლა ნანამ იცის — ხელმარჯვნივ წავა ნასახლარზე მიუჩქარია. იქ ვაჟას ღიმილიც ელის.

# აკაკის ერთი ფელეტონის შესახებ

აკაკი წერეთელი გაზეთ „შრომის“ აქტიური თანამშრომელი იყო. ამ გაზეთის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა მისი ლექსები, პუბლიცისტური წერილები და ფელეტონები. ამ პატარა წერილში შევეხებით მხოლოდ ერთ ფელეტონს — „ქუთაისი“. ფელეტონში დიდ მგოსანს დაუყენებია ქალების მამაკაცებთან გათანაბრების, ქალთა უფლებების დაცვის საკითხები, ამასთან გაუკრიტიკებია ის ქალები, რომლებიც თავიანთი უზნეობით არცხვენენ ქართველი ქალის სახელს. „რაიცა შეეხება ზოგიერთ ქალებს, უნდა მოგახსენოთ, რომ... მაგრამ ან კი რა მოგახსენოთ? თქვენი მოძულებული მოვკვდე, თუ იმათზედ რაიმე ითქმოდეს“ — წერდა აკაკი.

ეს ფელეტონი გახდა საბაბი იმ საკმაოდ დიდი პოლემიკისა, რომელიც შემდეგ გაიშალა გაზეთის ფურცლებზე. პოლემიკაში მონაწილეობა მიიღეს ქალებმაც. ქალთა უზნეობის მიზეზები უნდა ვეძებოთ მათს უუფლებობასა და ჩაგვრაშიო, — ამბობდნენ ისინი.

აკაკი ახალი წერილებით გამოეხმაურა მოპასუხე მანდილოსნებს. მან უფრო აშკარად დააყენა ქალთა სავალდებულო სწავლა-განათლების, საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად მათი აღიარების საკითხი.

როგორც აკაკი აღნიშნავდა, ამ მოთხოვნების განხორციელებას ხელს უშლიდა არსებული წყობილება, თვითმპყრობელური რეჟიმი.

აკაკი იგონებდა წარსულს, როცა დედები მამულისთვის ზრდიდნენ შვილებს და თვითონაც სამშობლოსთვის დებდნენ თავს. მათ სამშობლოს მტერი საკუთარ მტრად მიაჩნდათ, სამშობლოს მოყვარე — მოყვრად.

„იმისთანები არიან დღეს ჩვენი ქალები?.. დღეს ისინი თავის ქვეყნისა და სამშობლოს მტერს ემოყვრებიან და მოყვრებსა სდევნიან...“

აკაკი იქვე განმარტავდა, რომ მას ზოგიერთი ფუქსავატი ქალის პირად ცხოვრებაზე მეტად ქალების საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული უკუღმართობა აწუხებდა და დაბეჯითებით მოითხოვდა ახალი თაობისადმი თანაგრძნობას და მხარდაჭერას. იგი წერდა: „გამოვტყდებით, რომ რიცხვი ძალიან ცოტა არის იმ ახალგაზრდების და მათ იმდენი ხელისშემშლელები და მდევნელებიც ჰყავთ, რომ ყოველი ბიჯი ტანჯვითა და ბრძოლით უნდა გადადგან საზოგადო კეთილისადმი“.

ახალგაზრდობის მოწინავე წარმომადგენელთა შორის აკაკი ქალებსაც თვლიდა, რომელთა საქმიანობას ქვეყნის მომავლისა და მისი სიკეთისათვის დიდად აფასებდა.

„საქართველოს ცხოვრებაში ქალებს თუ არა მეტი, კაცებზედ ნაკლები ღვაწლი არ მიუძღვით... ვალდებულია ისტორია, რომ თუ არა უკეთ, ნაკლებ მაინც არ უნდა მოიხსენიოს ქალები კაცებზედ“.

1883 წლის აპრილში ქუთაისში გამოვიდა ჟურნალი „ქართული ბიბლიოთეკა“ (რედაქტორი ეკ. ლორთქიფანიძისა). ამ ფაქტმა ძლიერ გაახარა აკაკი: „გამოვიდა „ქართული ბიბლიოთეკას“ პირველი წიგნი, პატარა, კეკლუცი, ფაქიზი და ადვილად წასაკითხავი! ეტყობა ქალების ნახელაობა. ჟურნალის გამოსვლა აკაკიმ გაზაფხულის მოახლოებას შეადარა და აღტაცებულმა შესძახა: „გაუმარჯოს ქალების შრომას!“.

მ. სიხარულიძე

---

გაზეთი „შრომა“ გამოდიოდა ქუთაისში 1881—1888 წლებში. მისი რედაქტორი იყო დ. დადიანი, რედაქტორ-გამომცემელი — დ. ნაზარიშვილი. გაზეთში თანამშრომლობდნენ: ა. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, დ. ბაქრაძე, ე. ბოსლეველი (მჭედლიძე), დ. კეზელი, გრ. უმწიფარიძე (გრ. ვოლსკი) და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი ცხოვრების გზა



ინათებს და ფეხზეა.

სამუშაო მაგიდაზე „ქართლის ცხოვრება“, პატარა წიგნაკი და რვეულებია გაშლილი. გვიანობამდე არ ჩამქრალა წუხელ სინათლე ამ ოთახში. მაინც კიდევ ჩახედავს იმ წიგნაკს, რაღაცას შეასწორებს, დღევანდელი გაკვეთილების გეგმას ერთხელ კიდევ გადაიკითხავს.

კარგად გათენდება და გაუყვება გზას.

მისი სახლიდან სკოლამდე არც ისე შორი მანძილია, მაგრამ მაინც ჩქარობს თმაჭაღარა ქალი. სამასწავლებლოში შესვლამდე ჯერ თავის სახელმძღვანელო კლასს მიაკითხავს, მერე ჟურნალს აიღებს, საგულდაგულოდ დავარცხნილ თეთრ თმებს ერთხელ კიდევ შეისწორებს და გაკვეთილზე შედის.

ახლა მას ხარბად მიჩერებია ოცდაათამდე წყვილი თვალი. დინჯი, ხავერდოვანი ხმით იწყებს მასწავლებელი თხრობას. ...მერე კლასს გადახედავს, შეკითხვას დასვამს, და ერთად წამოიმართება ოცდაათი ხელი, ერთად აკიაფდება მოსწავლეთა თვალებში დაუფარავი სურვილი — ოღონდ კარგად უპასუხონ, ოღონდ გული არ ატკინონ მარიამ მასწავლებელს.

უსმენს წკრიალა ბავშვურ ხმებს, უყურებს ჭკვიან თვალებს მასწავლებელი და სადღაც შორიდან, მოგონების ბურუსიდან ისევ ამოდიან სხვა თვალები, ესმის სხვების გაუბედავი პასუხები და თითქოს ცოცხლდება მთელი ცხოვრება პირველი გაკვეთილიდან დღემდე.

დაიბადა 1895 წელს, სოფელ კუხში, წულუკიძის რაიონში. გლეხის ოჯახში. თავიდანვე დაჰყვა წიგნის სიყვარული და სწავლის სურვილი. ნამალევად ოცნებობდა ფილოლოგიური მეცნიერების შესასწავლად მოსკოვს გამგზავრებაზე. მაგრამ ქუთაისის ქალთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ თავსდატეხილმა უბედურებამ, უფროსი ძმის გარდაცვალებამ, სხვაგვარად წარმართა მისი გზა. ახლა ახალგაზრდა ქალი ოჯახს უნდა ამოდგომოდა მხარში. შემდეგ... გამოცდები დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდებაზე, სოფელი კულაში, რუსული ენის გაკვეთილებზე მუშაობა ქალთა წრეში, ლექციები, საუბრები, მონაწილეობა საქველმოქმედო მიზნით გამართულ ადგილობრივი დრამატული საზოგადოების წარმოდგენებში. 1917 წლიდან ხონი, ისევ მასწავლებლობა, ისევ საზოგადოებრივ საქმიანობაში გათენებული ღამეები. მხოლოდ 1919 წელს ესხმის ფრთები მისი დიდი ხნის ოცნებას. მარიამი თბილისში გადმოდის საცხოვრებლად და გამოცდებს აბარებს უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ისტორიულ განყოფილებაზე. სწავლის პერიოდში მუშაობს კიდეც. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თბილისის მე-2 სკოლაში გზავნიან. 1926 წელს გადადის ისტორიის მასწავლებლად მე-3 შრომის, ამჟამად ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლაში და დღემდე ამ სკოლის კედლებთან არის დაკავშირებული მისი ცხოვრების ყოველი დღე, მისი მდიდარი პედაგოგიური მოღვაწეობა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. თაობები დაჟკაცდნენ მის თვალწინ. მარიამს ყველა ახსოვს, ყველა უყვარს, ზოგი უკვე თმაშევერცხლილი, ზოგი სულ ახალგაზრდა, ზოგი უკვე სახელმოხვეჭილი, ზოგი ახალბედა. მარიამი დღესაც ბავშვებს ეძახის მათ, ყოველ დღესასწაულს ყვავილებით რომ უვსებენ ოთახს, ხშირად რომ მოდიან, ახარებენ, თავიანთ ტკივილსა თუ სიხარულზე უყვებიან,ეკითხებიან რჩევას.

განსაკუთრებული არაფერი იყო მარიამის აღზრდის მეთოდში. მაგრამ ყოველთვის ჰქონდა აღმზრდელს თავისი საქმისა და ბავშვების დიდი სიყვარული. იცოდა ნატიფ ჩუქურთმასავით უნდა ჩამოექნა ბავშვის სული და ხასიათი, ნაზი ყვავილივით მოფრთხილებოდა. ყოველთვის ცდილობდა პირადი მაგალითით ჩაეგონებინა მათთვის ყველაფერი კარგი და კეთილი; ყოველთვის ეხერხებოდა საკუთარი თავისადმი რწმენა გაეღვიძებინა ბავშვის სულში, უფრთხილდებოდა მათ ბავშვურ თავმოყვარეობას, გაბედულად უცხადებდა ნდობას.

მისი პედაგოგიური გამოცდილების შესახებ ბევრს წერდნენ რესპუბლიკურ და საკავშირო ჟურნალ-გაზეთებში, მის გაკვეთილებს არჩევდნენ, სწავლობდნენ ახალბედა მასწავლებლები. თვითონ მარიამი სისტემატურად კითხულობს მოხსენებებს მეთოდურ კაბინეტში, კონფერენციებზე. მის კალამს ეკუთვნის მეთოდური ხასიათის ბევრი საინტერესო შრომა.

მიუხედავად ასეთი დაძაბული პედაგოგიური შრომისა, მარიამი ყოველთვის პოულობდა დროს საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობისათვის. ომის მრისხანე წლებში იგი, საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატი, ოქტომბრის რაიონის ფრონტელთა დამხმარე კომისიის თავმჯდომარე, მეთვალყურეობდა უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებს, მუშაობდა განათლების რაიონულ კომისიებში. მარიამი ყოველთვის იყო და არის სკოლის, ჩვენი ახალგაზრდობის ყოველდღიური საინტერესო ცხოვრების უშუალო მონაწილე და ხელმძღვანელი.

დაუფასებელი არ დარჩენილა მარიამის ამაგი. დღეს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის მარიამ ბალანჩივაძის მკერდს ლენინის ორდენი ამშვენებს.

გვიან საღამოს ბრუნდება შინ ნაჯაფარი მასწავლებელი. ოღონდ ახლა სულ ნელი ნაბიჯით მიჰყვება ქუჩას. სახლში შესული, პირველად თვალს შეავლებს ადრე დაღუპული ქალიშვილისა და მეუღლის სურათს და მძიმე ნაღველი დაუბინდავს გულს, მაგრამ სიცოცხლის ძახილივით შემოიჭრება ოთახში შვილიშვილი, პატარა ალიკო, ხუთიანს მიახარებს ბებიას, კალთაში ჩაუჯდება, გააცინებს... მერე ვაჟი და რძალი შემოეხვევიან, მერე ხვალის საზრუნავი გაუჩნდება და აღარ რჩება იმ იდუმალი ჭმუნვის დრო, ორი ღრმა კვალი რომ დაუჩნევია ჭაღარა მასწავლებლის მაღალ შუბლზე.

ისევ გვიან ღამემდე ანთია სინათლე მარიამის სამუშაო ოთახში, ისევ უზის გადაშლილ რვეულებს და წიგნებს მასწავლებელი, რომ ხვალ დილით კიდევ ახალი, საინტერესო სიტყვა უთხრას მზერად გადაქცეულ ბავშვებს.

ზურანდა კუბლაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნევრესტან მამიაშვილი



ისინი დგებოდნენ ერთად, გოგონა და მზე. გოგონას, ნუშისთვალებას, რატომღაც ყოველთვის მაღლა ეჭირა თავი მზისკენ, თითქოს ეშინოდა ვინმეს არ დაეჩრდილა იგი.

საღამოს ზღვის ნაპირს მდგარი სევდიანად გასცქეროდა ზღვაში ჩაძირულ მრგვალ, მოელვარე ბურთს. ბინდი წვებოდა ზღვაზე, ცა უერთდებოდა ზღვას. გოგონა იდგა უხმოდ და გაუნძრევლად.

— ნევრესტან, ჰაუ, ნევრესტან, — ეძებდა რეჯები შვილს.

— ნევრესტან, სადა ხარ გოგო, ყოველ საღამოს ასე უნდა გვაძებნინო თავი? — საყვედურობდა დედა.

— სხვა რომ არ იყოს, სირცხვილია ბინდისას ქალის ტანტალი, რას იტყვის ხალხი! — ბრაზობდნენ ძმები. ჭრიალით იღებოდა ჭიშკარი. მოჩვენებასავით შედიოდა ოთახში, წვებოდა ჩუმად. ფიქრები დაბორიალობდნენ ირგვლივ, ფიქრები აწყდებოდნენ კედლებს.

ჩადრიდან ზღვა, ალბათ, პატარა ნაკადულს მოჰგავს. ალბათ, არც ცაა ასეთი ლურჯი და უკიდეგანო ჩადრიდან. ფიქრი ჯიუტია და მალე არ ტოვებს ოთახს.

* * *

იმ დღეს მაღლა ვერ აიღო თავი. ჩვეულებრივად ვერ მიეგება მზეს. იმ დღეს პირველად დახურეს ჩადრი და ისე გაუშვეს გარედ. იმ დღეს ბათუმის ქუჩაბანდებში საოცრად დაჩიავებული ადამიანები მოძრაობდნენ.

კვლავ გვიან ბრუნდებოდა სახლში. მოდიოდა ღამის სიბნელეში და აღარაფერზე ფიქრობდა. ღრმა, ყრუ სევდა იკაფავდა გულისკენ გზას, მაგრამ მასთან ყოველთვის იყო ოცნება უსასრულო, როგორც ჰაერი, ნათელი, როგორც სინათლე...

ახალი ცხოვრების განთიადმა მოიტანა ეს სინათლე აჭარაში. ნევრესტანსაც აღარ უნდა დამალოს მისგან სახე. კმარა! ვიღაც უნდა იყოს პირველი, რომელიც მოიხსნის ღამეს. დაე, ამ პირველთაგანი იყოს იგიც. უფროსი და ალთუნი აჭარის ქალთა კლუბის თავმჯდომარეა, ნევრესტანი ხშირად დაჰყვება მას ქალთა კრებებზე, აქტიურად მონაწილეობს პირველი მხატვრული დასის წარმოდგენებში.

1925 წელი. ნევრესტანი საშუალო სკოლას ამთავრებს და დედას უმხელს თავის დაფარულ ოცნებას. პირველ აჭარელ ქალს სწავლის გაგრძელება უნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე. გატაცებით ისმენს ლექციებს, სწავლობს...

გზა უნივერსიტეტამდე მაჩაბელის ქუჩიდან ძალიან შორია, მაგრამ მაინც ფეხით გაუყვება ნევრესტანი გოლოვინის პროსპექტს.

შემოდგომაა... ჰაერში ზაფხულთან გამოთხოვების სუნი ტრიალებს. ზემელზე ცისფრად შეღებილ სახლებს მზის მორიდებული შუქი შეჰფენია. უეცრად აჭარა აგონდება, მწვანედ აბოლილი ბათუმი, ოცნებაში წასული მაგნოლიები და გული იქით მიუწევს, იქითკენ მიეჩქარება.

იქ ყველაზე მეტად სჭირდებათ დახმარება ადამიანებს. აჭარაში მძვინვარებს მალარია, ტუბერკულოზი და ერთ საექიმო და საფერშლო პუნქტზე 4761 მცხოვრები მოდის. ბათუმში მხოლოდ ერთი რესპუბლიკური საავადმყოფოა 200 საწოლით. აუცილებელია სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლება, საწარმოებში ჯანპუნქტების შექმნა, ბრძოლა მუშათა ავადობის შემცირებისათვის, პროფესიულ დაავადებათა პროფილაქტიკის ორგანიზაცია.

აჭარელი ქალები არ ესინჯებიან ექიმებს და თავიანთ გამარჯვებას ზეიმობენ ექიმბაშები.

* * *

შეიძლება, მართლაც იდგა აქ დიდი ეკლესია და ხუცებიც იყვნენ. შეიძლება სულ მოლები ცხოვრობდნენ სოფელში. შეიძლება არა. ხალხს კი ასე სჯერა.

მუხლჩაუხრელად გაიარა ნევრესტანმა მანძილი ბათუმიდან ხუცუბნამდე, სასწრაფოდ გამოიძახეს ამ დილაუთენია მშობიარესთან.

როცა გეჩქარება, გზას დასასრული არ უჩანს მაშინ. სოფლის თავში შეეგებენ ექიმს, თავლაში შეიყვანეს, მშობიარეს

ვიღაც ჩია ბებერი ქვამარილს უსვამდა და ფაშატი ცხენი ენით ულოკავდა მუცელს. უცებ დაიბნა ახალგაზრდა ექიმი, ხმის ამოღება ვერ მოახერხა. თითქოს მაჯისცემაც დაკარგული ჰქონდა ავადმყოფს. რამდენიმე წუთი და ორი სიცოცხლე დაიკარგებოდა უბრალოდ, უმიზეზოდ. მდგომარეობა საშიში იყო, არჩევანი კი შეუძლებელი. დაუყოვნებლივ მიიღო გადაწყვეტილება ნევრესტანმა, ეს იყო მისი პირველი დამოუკიდებელი ოპერაცია.

ქალი ახლა სახელდახელოდ გამართულ მაგიდაზე იწვა, იმედის თვალით შესცქეროდა, შველას ითხოვდა. სწრაფად ამოძრავდნენ თითები ადამიანის გადასარჩენად. ოფლი ფარავდა ექიმის შუბლს, თვალებს, სახეს.

„სიმწრის ოფლი იყო, თორემ გაყინულ თავლაში სიცხე ჩემს მეტს არავის უგრძვნიაო“ — ახლაც ხშირად იგონებს ამ შემთხვევას ნევრესტანი.

ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც ნევრესტანი ცნობილ მეან-გინეკოლოგის გიორგი ხეჩინაშვილის ხელმძღვანელობით მუშაობდა, შეუწყვეტელ ნაკადად შემოდიოდნენ აჭარელი ქალები, მას მიმართავდნენ დახმარებისათვის.

— მასწავლებელი აქ იყოს და მოწაფეს ეკითხებოდნენ რჩევას პირველად მესმის, — იღიმებოდა გიორგი და სიყვარულით შეჰყურებდა ნევრესტანს.

მოგონებები. მოგონებები... ადამიანებს აქვთ ცხოვრებაში დღეები, რომელთა დავიწყებაც არ შეიძლება. ისინი ყოველთვის ინახავენ თავიანთ განუმეორებელ სილამაზესა და სურნელს. ის გაზაფხულიც ასე შემორჩა გონებას. 1939 წლის 8 მარტი. ქალთა საერთაშორისო დღეს დიდი და მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა დააკისრეს აჭარელ ქალს.

ნევრესტან შაშიკაშვილს აჭარის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად ნიშნავენ. ახლა უკვე მისთვის აღარ არსებობს დღის ბოლო. სამუშაო ბევრია, დღე კი პატარა. არ ყოფნის იგი ნევრესტანს. ოჯახშიც ელოდებიან. ხუთი წლის გურამი და მეუღლე. დღეს ღამე ენაცვლება, ოჯახს არ აკლდება სითბო.

და დადის ნევრესტანი ბათუმის ქუჩებში. თავი ყოველთვის მაღლა აქვს აწეული მზისკენ. მიაბიჯებს მტკიცედ და მსუბუქად, თითქოს გაფრენა უნდაო ნუშისთვალება ქალს.

* * *

უცებ ეკარგება ლურჯი ფერი ზღვას. მუქდება. ქრის ძლიერი ქარი, ქარს მოაქვს ცრემლი, ფერფლი და სიკვდილი.

1941 წელი. მოდიან ბათუმის რკინიგზის სადგურში მატარებლები, ჩამოჰყავთ ადამიანები, ტანსაცმელშემოძარცულები, ფერდაკარგულები...

ღელავს ზღვა. ჩქარობს ნევრასტანი, უნდა დროზე დააბინაოს ისინი, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალია, ვინც გადარჩა.

ნავსადგურს ავსებენ გემები... ხვდება მათ ნევრესტანი სამხედრო ფარაჯით, ფეხმოუცვლელად დგას იგი ნავსადგურში მანამდე, სანამ არ ჩატარდება საჭირო სანიტარული ზომები, დეზინფენქცია, სანამ ყველა არ გაიგზავნება დანიშნულების ადგილას. ევაკუირებულია სოფლები, ქალაქები, ტუბდისპანსერები, ფსიქიატრიული საავადმყოფოები...

ბევრი მათგანი, ვისაც გადამწვარი კერიის სუნი და საკუთარი მიწის შავი ფერფლი ჩამოჰყვა მაშინ, სამუდამოდ დარჩა ბათუმში. უმძიმს იმ დღეების გახსენება ნევრესტანს, მისი ყოველი სიტყვა თრთის, და მე ვგრძნობ, რომ ჰოსპიტალში, სადაც ის მკურნალობდა დაჭრილებს, ნავსადგურში, სადაც ყოველდღე ხვდებოდა და აბინავებდა ცეცხლგამოვლილ ადამიანებს, თუ მინისტრის კაბინეტში — მას ყველა მიმართავდა, როგორც ქალსა და, უბრალოდ, ექიმს...

ცხოვრება თავისი გზით მიდის. მძიმე იყო ის დღეები, მაგრამ არც ჭრილობის მოშუშება, ნატყვიარი გულის განკურნება იყო ადვილი.

— რას გაკეთებდი მაშინ? — არაფერს განსაკუთრებულს.

ამ სიტყვებს იქით არის გაუთავებელი ძიება, ბრძოლა, დაუღალავი შრომის წლები, გატეხილი ღამეები.

აჭარაში დღითიდღე უმჯობესდება სამედიცინო მომსახურება, რომელსაც ნევრესტანი ხელმძღვანელობს. მისი ინიციატივით იხსნება რენტგენის კაბინეტი ხულოში, ცოტახნის შემდეგ კი მახინჯაურსა და მწვანე კონცხზე. სწორედ ამ პერიოდში აჭარელი ქალი წერს თავის საკანდიდატო დისერტაციას — „აჭარის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის ისტორიისათვის“.

1949 წელს ნევრესტანის ოჯახი თბილისში გადმოდის საცხოვრებლად. ნევრესტანი აქვეყნებს საინტერესო შრომებს, ბროშურებს, ნარკვევებს აჭარაში სამედიცინო საქმის განვითარების შესახებ.

ნევრესტანს შეხვდებით ხულოში, ქედაში, ხუცუბანში, იგი აგროვებს მასალებს, მუშაობს შემართებით, მოუღლელად.

1961 წელს ის უკვე სადოქტორო დისერტაციას იცავს თემაზე: „საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის ისტორია მე-19 საუკუნიდან 1940 წლამდე“.

მას ინტერესით უსმენენ არა მარტო ექიმები, არამედ ლიტერატორებიც, ისტორიკოსებიც...

ახლა უფრო ნაკლები დრო მიაქვს ოჯახს. გურამი უკვე გეოლოგია და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერმუშაკი. ყველაზე მეტად სიჩუმე ნევრესტანის მეუღლეს დავით დუმბაძეს სჭირდება. იგი ჟურნალისტია და ხშირად თავისი ნაწერებითაა გართული.

ნევრესტანს მუდამ სადღაც ეჩქარება. იგი ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ რედკოლეგიის წევრია, საქართველოს სამედიცინო ისტორიული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი...

— იქნებ ძნელია ამდენი ტვირთი, ნევრესტან?

— მთავარია, გიყვარდეს, გიყვარდეს ადამიანი, მაშინ ყველაფერს მოერევი, — ამბობს იგი.

და მე არ მინდა აქ დავუსვა წერტილი ჩემს ნარკვევს. სიყვარული ხომ არასდროს თავდება...

**ლია თევზაძე**

**ლიდა ხტვილია**

# აკვანთან

მე შენს აკვანთან თეთრად ვათენებ,
და ყოველ ღამე გრძელდება ასე...
შენ ჩემი გული თითქოს გაფერე,
ახლა მართლა ვართ ხალისით სავსე.
იამ გაშლილმა და გასაშლელმა,—
შემოგაშუქეს დილის ფერები...
ნანას გიმღერი, ღუღუნებ შენაც,
თითქოს ბანს მაძლევ და მეშველები.
ჟღურტულებ, თითქოს ლაპარაკს ცდილობ...
ღიმილი გმოსავს ვარდის და ნუშის.
ჩემო პატარავ, ჩემო უკბილოვ,
გეფერები და გიხუტებ გულში.
დე, ღამეები ვათიო თეთრად,
აკვნით კი არა, კალთით გარწიო...
გიხუტებ გულში სიცოცხლის ფეთქვას,
ჩემი გულის და სულის ნაწილო.



**ბაღის გამგე ანა კანდელაკი აღსაზრდელებთან**

დილიდან, როცა ქალაქი იღვიძებს და იწყება შრომით აღსავსე დღე, ამ შენობის კარი თითქმის არ იხურება. განუწყვეტლივ შემოდიან მშობლები და მოჰყავთ პატარები. აი, რაისა ბურევსკაიამ სამი შვილი — ნინო, ლია და საშა მოიყვანა. ფაბრიკის რაციონალიზატორმა ვასილ ბეკოშვილმა ხელში აყვანილი ზაზა გამზრდელს მიაწოდა და სასწრაფოდ გატრიალდა. საქსოვი ბრიგადის მოწინავე მქსოველმა თამარ კუჭაიძემ ლიანა და ციცინო კარებამდე მიაცილა და გაიქცა.

შემდეგ, დაზგასთან მდგომი დედ-მამა არ დარდობს შვილზე, რომელიც დატოვეს საბავშვო ბაღში. იციან, საიმედო და მზრუნველი ადამიანების ხელშია მათი საყვარელი არსება.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მე-8 საბავშვო ბაღი იქვე, ფაბრიკის ახლოს, ლენინის ქუჩაზეა მოთავსებული. ორსართულიანი კოხტა შენობა ძალზე პატარაა ბავშვებით გადატვირთული ბაღისათვის, მაგრამ მისი მუშაკები მაინც ახერხებენ ირგვლივ სითბო და სისუფთავე იყოს.

დერეფანში ჩამწკრივებულ პატარა კარადებში ბავშვების პალტოები და ქუდებია შენახული. ყველა კარადაზე სხვადასხვა მცენარე და ცხოველია გამოხატული. ბავშვები ამ ნიშნებით ადვილად აგნებენ თავიანთ ტანსაცმელს.

მათ ხომ ჯერ კითხვა არ იციან. უმცროსჯგუფელები მხოლოდ ბგერებს სწავლობენ და აღმზრდელის მიერ წაკითხულ ზღაპარს ათჯერ და მეტჯერაც გაფაციცებით ისმენენ. ეს ხდება არა იმიტომ, რომ პატარებს სურთ მისი დაზეპირება, არამედ იმიტომ, რომ ისინი მძიმედ ითვისებენ მის შინაარსს. მათ იციან, თავიანთი ფანტაზიით, ფერადი ფანქრებით მხოლოდ ხაზების გავლება. როცა ფანქრის ხმარებას მიეჩვევიან, ქსენია აბაკელია ასწავლის მათ, თუ როგორ იხატება ნაძვის ხე, ფრინველები, ადამიანები. ყველაზე პატარა გოგონებმა — მანანა წულუკიძემ და ნუცა შაბათაძემ უკვე იციან ფერთა გარჩევა, ისინი წითელი ფერებით ყვავილებს ჩითავენ და თან ერთმანეთს ეხუტებიან.

რუსულ ჯგუფში, სადაც სხვადასხვა ასაკის ბავშვებია, სავალდებულო მეცადინეობაა. საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ნინო საყვარელიძე, რომელმაც მრავალი

**ნინო ალადაშვილი ყვავილის მოვლას ასწავლის იას და მამუკას**





ამ გოგონებს ახალ სიმღერას ასწავლის ქეთევან ანდრონიკაშვილი

წელი გაატარა მოზარდი თაობის აღზრდაში, საუბარს ატარებს შინაურ ფრინველებსა და ცხოველებზე. ირა პრილიპკო, თამუნი ბზვანელი, ნანა და ქეთინო გაბელაშვილები მეტად აქტიურობენ და ამიტომ ნინოს ქებას დღეს ისინი იმსახურებენ.

ნინო სამადაშვილმა სურათების დახმარებით მოუთხრო ბავშვებს, რომ მგელი საშიში მტაცებელია, ხოლო კრავი — საწყალი, უმწეო შინაური ცხოველი. მასწავლებლის ნაამბობის საკუთარი სიტყვებით დალაგებულად გადმოცემა ყველაზე კარგად დათო სამადაშვილმა შეძლო. მას ზედმეტ სახელად „ჭკუის კოლოფი“ შეარქვეს.

უფროსჯგუფელები მადიანად შეექცევიან გემრიელ საუზმეს. აღმზრდელი მელიხან ლეჟავა მათთანაა და საუზმის მსვლელობას ადევნებს თვალყურს. გიამ წინსაფარზე კაკაო გადაისხა. მელიხანი მას არ გაუწყრა. მრავალჯერ ნათქვამი ახლაც წყნარად და გარკვევით გაუმეორა. უცებ, რომელიღაც ბავშვმა სიტყვა „პოლი“ იხმარა. აღმზრდელმა ბავშვებს გადახედა და ამ სიტყვის ქართული შესატყვისი მოითხოვა. „იატაკი“ — ერთხმად გაისმა პატარების ხმა. ასე თანდათანობით უნერგავს მელიხან ლეჟავა აღსაზრდელებს სწორ მეტყველებასა და კულტურული ქცევის ჩვევებს.

სადღეღამისო ჯგუფი დაკომპლექტებულია ისეთი ბავშვებით, რომელთა მშობლები ღამის ცვლაში მუშაობენ. არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე ბავშვს მზრუნველი ხელი და თვალი მოკლებოდეს. ღამის მორიგე, ძიძა მაკრო ხადური პატარების მეორე დედაა. ენერგიულ მაკროს მძინარე ბავშვის ერთი გაფაჩუნებაც არ გამოეპარება.

აღსანიშნავია საბავშვო ბაღის პედკოლექტივისა და მომსახურე პერსონალის შრომის ნაყოფიერება. მათ ხომ ბავშვთა მრავალრიცხოვან ოჯახში უხდებათ მუშაობა.

დამლაგებლებს თ. გაბრიელოვას და ნ. უთმელიძეს ოთახები დაუპრიალებიათ. მათ სურთ, რომ პატარებმა სუფთა ჰაერი ისუნთქონ.

ჩვენი მომავალი ჯანმრთელი და კუნთმაგარი უნდა გაიზარდოს. ამიტომ ბავშვებს პატარობიდანვე მაღალხარისხოვანი პროდუქტებით კვება სჭირდებათ. ბაღის მომმარაგებელი სოფიო ბარაბაძე ძალღონეს არ იშურებს, რომ ბავშვებს საჭირო საკვები და ხილ-ბოსტნეული დროულად ჰქონდეთ.

საბავშვო ბაღის ოთხ ჯგუფს რვა მასწავლებელი ემსახურება; ა. კანდელაკი, ნ. ალადაშვილი, ნ. საყვარელიძე, ქ. ანდრონიკაშვილი საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლები არიან...

მათი წერილები ხშირად იბეჭდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. ამავე დროს საბავშვო ბაღის ღია დღეებს ქალაქის სხვადასხვა ბაღებიდან და რაიონებიდან მოსული მრავალი მასწავლებელი ესწრება გამოცდილების მისაღებად.

• • •

ის ამ ბაღის დედაბოძი და დიასახლისია, კეთილი სახის, კეთილი გულის საშუალო ტანის ქალი, თავშეკავებული, ალერსიანი, მაგრამ მომთხოვნი.

ძნელია მოიპოვო ყველას სიყვარული... საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, მე-8 საბავშვო ბაღის გამგე ანა კანდელაკი თავის მრავალრიცხოვან ოჯახში ერთნაირად იმსახურებს პატარებისა და დიდების სიყვარულს.

ორმოცი წელი ბავშვებთან მუშაობს. ამიტომაა, რომ მას უბავშვოდ ცხოვრება არ შეუძლია. ვერ წარმოუდგენია თუნდაც ერთი დღე, რომ არ ნახოს ბავშვები.

ახალგაზრდა ქალიშვილმა პირველად ონის ერთ-ერთი საბავშვო ბაღის კარი შეაღო. აქ ბავშვების ნათელმა, საყვარელმა სახეებმა შემოანათეს. ანას დიდი სითბო ჩაეღვარა გულში.

და აი, მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ. უამრავმა ბავშვმა გაიარა მის ხელში. მისი აღზრდილები ყოველთვის იგონებენ მას, ბევრს მასთან აღსაზრდელად თავისი შვილიც მოჰყავს.

* * *

თუმცა თმა შევერცხლია მელიხან ლეჟავას, მაგრამ ადრინდელი ეშხი და მშვენება არ დაუკარგავს. მკაცრი, მაგრამ კეთილი გულის, ყველა პედაგოგიურ საშუალებას იყენებს პატარების გონებრივი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდისათვის.

მის ჯგუფში უფროსი ასაკის ბავშვები არიან. მალე ისინი საბავშვო ბაღს დატოვებენ და პირველად შეაღებენ სკოლის კარს.

მელიხანმა იცის, თუ რამდენად დიდია აღმზრდელის როლი, რომ ბავშვს სწორად განუვითარდეს კეთილშობილური თვისებები, წარმოსახვის უნარი და სწორი მეტყველება.

ბავშვში სწორი მეტყველების დასანერგავად მელიხანი მიმართავს მოთხრობების, ზღაპრებისა და ლექსების სისტემატურ კითხვას.

ამ საკითხთან დაკავშირებით ხშირად იბეჭდება მისი წერილები. საინტერესო სტატია — „ბგერების სწორ წარმოთქმაზე მუშაობა საშუალო ჯგუფში“ — მოთავსებული იყო ამ ორი წლის წინათ ბროშურაში „სკოლამდელთა სწავლა-აღზრდის საკითხები“. ამჟამად მელიხანი ამზადებს ახალ თემას: „სურათის თხრობის საშუალებით ბავშვთა სიტყვების მარაგის გამდიდრება“.

მელიხან ლეჟავა ერთადერთი შვილის დედაა, მაგრამ კარგი შვილის დედა. ზურაბ ლეჟავა დღეს ცნობილი ქართველი მხატვარია.

მელიხანს ბავშვობიდანვე იტაცებდა ხელოვნება. შვილის ნიჭის გამოვლინებაში დიდი წვლილი მიუძღვის მას. პატარა ზურაბი ოთახების კედლებს ნახატებით აჭრელებდა და საღებავებით თხაპნიდა. დედა მას არასდროს არ ტუქსავდა, კედლების სილამაზისათვის შვილის მისწრაფე-

ქსენია აბაკელია კმაყოფილია ბავშვების „მხატვრული ნიჭით“



1906



მელიხან ლეჟავა პატარებს ზღაპრებს უყვება

ბას არ ახშობდა. ახლა პატარა შვილიშვილი მართალია კედლებზე არ ხატავს, თორემ სხვა ყველაფერზე მისი ფუნჯის კვალია.

* * *

პატარების კომპოზიტორიაო, მასზე ამბობენ. მართლაც, რომ კომპოზიტორობას არაფერი აკლია. რამოდენიმე საბავშვო სიმღერის ავტორია ქეთევან ანდრონიკაშვილი. იგი პატარებს სიმღერებს ასწავლის, მათთან ერთად უკრავს, ცეკვავს. ამიტომ უყვართ პატარებს დეიდა ქეთევანი, ამიტომ უხარიათ მისი დანახვა მანანა წულუკიძეს და მამუკა არჩვაძეს.

27 წელია ქეთევანი მუსიკის მასწავლებლად მუშაობს საბავშვო ბაღში და სხვანაირად ვერც წარმოუდგენია ცხოვრება. ბავშვებია მისთვის ყველაფერი.

„სიმღერები საბავშვო ბაღში“, ასე ქვია ერთ-ერთ წიგნს, რომლის შედგენაში ქეთევან ანდრონიკაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის. მისი ორი შვილიშვილი. ქეთინო და ნანაც ამ საბავშვო ბაღში იზრდებიან. მათი ბებია საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელია. იგი თბილისის მე-15 საშუალო სკოლასთან არსებულ მუსიკალურ ტექნიკუმში სასწავლო ნაწილის გამგედაც მუშაობს. ბებია ქეთევანის პატარ-პატარა სიმღერები და პიესები გამოდის მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში...

* * *

— ეს ჯგუფი საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის ნინო ალადაშვილისაა, — გვეუბნება გამგე და სახეზე კმაყოფილების ღიმილი ეფინება, ისეთი ღიმილი, რომელიც ადამიანისადმი სიყვარულს გამოხატავს.

აბა, როგორ შეიძლება მათ ერთმანეთი არ უყვარდეთ, ისინი ხომ ოცდაათი წელია ერთმანეთის ჭირ-ვარამს იზიარებენ. ნინო ამ საბავშვო ბაღის სული და გულია. მშვიდი, წყნარი, ნამდვილად ბავშვებთან სამუშაოდ დაბადებული, და ბავშვები ავსებენ მის ცხოვრებას აგერ ოცდაცხრამეტი წელია.

ნინო ამაყობს მისი აღზრდილებით. ისინი ბევრნი არიან, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში შრომობენ, ეუფლებიან სხვადასხვა პროფესიებს.

ნინოს უხარია, რომ მისმა აღზრდილებმა კვლავ მოსძებნეს იგი და თავიანთი შვილები მოუყვანეს ასაზრდელად. ქეთო მაზიაშვილი მისი საყვარელი აღსაზრდელი იყო, დღეს კი მის სამ შვილს დასტრიალებს თავს.

ამ საბავშვო ბაღში ყოველწლიურად პრაქტიკას გადიან გოგებაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური სასწავლებლის სტუდენტები. ნინო ალადაშვილი ეხმარება მათ, უზიარებს თავის მდიდარ გამოცდილებას.

სამაგალითო მუშაობისათვის ნინოს ბევრი ჯილდო აქვს მიღებული, მადლობას კი ვერ მოსთვლი, იმდენი.

პრესაში ხშირად იბეჭდება ნინოს წერილები აღზრდის საკითხებზე, ხშირად კითხულობს ლექცია-მოხსენებებს ბავშვთა აღზრდის შესახებ საქალაქო კონფერენციებზე.

* * *

— ქეთინო! ქეთინო! ნახე დეიდა ქსენიამ რა დახატა! — სახეგაბრწყინებული გაიძახოდა გოგი და თვალს არ აშორებდა გრძელკუდა მელიას, რომელიც მხატვრის მიერ ტილოზე საღებავებით შესრულებულ ნახატს არაფრით ჩამოუვარდებოდა.

აბაკელიების ოჯახში ყველას უყვარდა ხატვა. სახელგანთქმული მხატვარი თამარ აბაკელიაც ამ ოჯახის შვილი იყო. დებს შორის უმცროსი ქსენია დას ბაძავდა და ისიც ხატავდა. ახლა ამ თავის უნარს ბავშვებთან მუშაობაში იყენებს.

ჯგუფში 42 ბავშვია. ქსენიას არ შეუძლია გარჩევა, რომელი უფრო მეტად უყვარს. ყველას ერთნაირად ეალერსება, ყველას ერთნაირად ასწავლის.

საბავშვო ბაღის საზეიმო და მასობრივ თამაშობათა დარბაზი ქსენია აბაკელიას შესანიშნავად გაუფორმებია. აქ თავს წარმოიდგენთ რომელიღაც ტყეში თუ ცხოველთა სამყაროში: დარბაზის სიღრმეში თეთრი მაღალი მთებია აზიდული, ბამბის ქულებისაგან დამზადებული, ხოლო კედლებზე მიმზიდველად შესრულებული საბავშვო ზღაპრების ილუსტრაციებია გამოფენილი. ცხოველთა და ფრინველთა ცოცხალი სახეები ბავშვთა აღტაცებას იწვევს.

* * *

საღამოს, როცა ქალაქს დაისი შემოადგება და დამთავრდება შრომით აღსავსე დღე, ამ შენობის კარი აღარ იხურება, განუწყვეტლივ შემოდიან დედები და მიჰყავთ პატარები...

**ირმა ჩოფიკაშვილი,**
**ნანული ბუკია.**

ხაჩიდაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიტყვა თქვენ გეკუთვნით

## ოჯახის წევრთა ურთიერთობის გავლენა ბავშვზე

გასული 1962 წლის მაისში ჟურნალ „საქართველოს ქალის" ფურცლებზე გამოქვეყნდა მეტად საგულისხმო წერილი — „სიტყვა თქვენ გეკუთვნით".

წერილი ოჯახური ურთიერთობის მეტად ფაქიზ საკითხს ეხებოდა.

წერილმა მკითხველთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. თითქმის ყველა მომდევნო ნომერში იბეჭდება გამოხმაურება ამ წერილის ირგვლივ. წერილთა ავტორები სხვადასხვა კუთხით იხილავენ საკითხს და სხვადასხვა დასკვნებამდე მიდიან.

ჟურნალის ფურცლებზე გამოთქმული აზრები ბევრს ჩაახედებს თავის საქციელში და დაეხმარება სწორედ გაანალიზოს იგი. განსაკუთრებით მოგვხვდა გულზე ერთი წერილი — ოჯახური უსიამოვნების შედეგად უმამოდ დარჩენილი გოგონა წერს: „უმამოდ გავიზარდე. წამოვიზარდე თუ არა, დავდარდიანდი, შევნატროდი ბავშვებს, მამა რომ ჰყავდათ... ჩემს ხასიათს სამუდამოდ დაეტყო ჩემი ბავშვობის ულიმღამო წლები. რაც უნდა მხიარული ვიყო, მაინც ვგრძნობ, რომ ჩემი სიხარული არ არის სრული, ჩემს განწყობილებას მაინც ადგას წარსულის ჩრდილი".

ალბათ, ყოველ მშობელს მწვავედ ატკენს გულს ახალგაზრდა გოგონას ეს გულწრფელი, ნაღვლიანი სიტყვები.

ცნობილია, რომ უმამობას და უდედობას ვერაფერი შეუვსებს ბავშვებს.

ოჯახის წევრთა ურთიერთობის მოწესრიგება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ოჯახის წევრთა შორის ურთიერთპატივისცემას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობის სწორ აღზრდასა და ჩამოყალიბებაში. ამ გარემოებამ გადაგვაწყვეტინა სპეციალური წერილის გამოქვეყნება.

ცნობილია, რომ ბავშვის აღზრდას ოჯახში ეყრება საფუძველი. საბჭოთა ოჯახი სოციალისტური სახელმწიფოს უჯრედია, რომელიც აგებულია ოჯახის წევრთა ურთიერთგაგებასა, პატივისცემასა, სიყვარულსა და თანასწორუფლებიანობაზე.

ოჯახი არ განისაზღვრება მარტოოდენ ბინით და ავეჯით. ოჯახი ადამიანთა ურთიერთობაა, ოჯახის წევრთა სწორი და მიზანშეწონილი, მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებაა, რომელიც გარემო საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მტკიცე და ორგანულ კავშირშია.

უნდა გვახსოვდეს, რომ ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულება პირველი ზნეობრივი გაკვეთილია ბავშვებისათვის. ურთიერთპატივისცემა, სიყვარული, დაფასება, ერთმანეთისადმი საღი, მეგობრული, საქმიანი დამოკიდებულება არის საფუძველი, რომელსაც ემყარება საოჯახო აღზრდის მთელი სისტემა.

აღმზრდელობით საქმიანობაში ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ცოცხალ, ქმედით, პირად მაგალითს. მშობლებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი თავიანთი მოქმედებით უფრო მეტ გავლენას ახდენენ ბავშვებზე, ვიდრე ლაპარაკით.

მაგრამ ხშირად მშობლები სათანადოდ არ აფასებენ პირადი მაგალითის ცხოველმყოფელ გავლენას ბავშვის აღზრდაზე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რჩევა-დარიგებებს, ნოტაციებს, დასჯას, წაქეზებას. მათ ავიწყდებათ, რომ ბავშვის არასწორი აღზრდა თანდაყოლილი თვისებებით კი არ არის განპირობებული, არამედ მშობლებისა და ოჯახის არასწორი მოქმედების შედეგია.

გამოჩენილი საბჭოთა პედაგოგი ანტონ სიმონის ძე მაკარენკო წერს: „ოჯახის ყველა წევრს შორის ურთიერთსიყვარულის, პატივისცემის, გულისხმიერი და მეგობრული დამოკიდებულების საქმიანი ატმოსფერო უნდა სუფევდეს. ადამიანის პატივისცემა და დაფასება ნიშანდობლივი თვისება უნდა იყოს ამ ურთიერთობისათვის, და ბავშვი, როგორც პატარა ადამიანი და წევრი ოჯახისა, პატივისცემით და დაფასებით უნდა სარგებლობდეს უფროსების მხრივ".

ჩვენს ოჯახებში ზოგჯერ არ არის დაცული ეს მოთხოვნა. ზოგჯერ მშობლები უხეშად ეპყრობიან ერთმანეთს. ადგილი აქვს უსიამოვნებას, ჩხუბს, დაუშვებელი სიტყვების ხმარებას. ოჯახური უსიამოვნება დიდ უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკაზე. ის ნერვიული, მოუსვენარი ხდება. ეჩვევა ცუდ გამოთქმებს, თანატოლებში უხეშია, ადვილად ღიზიანდება, გულჩათხრობილია. ზოგ მშობელს არ ესმის, რომ თავისი შეუფერებელი საქციელით ზიანს აყენებს ბავშვის სწორ აღზრდას.

კიდევ უფრო ცუდია, როდესაც მშობლები უსიამოვნების ნიადაგზე იყრებიან, იშლება ოჯახი. ბავშვის ფაქიზი ბუნება განუკურნებელ ტკივილს განიცდის დედის ან მამის ოჯახიდან წასვლის გამო. მას რცხვენია თანატოლების, ნერვიულობს, ხშირად სწავლაზე გულს იყრის და სულიერად სამუდამოდ ავადდება.

სამედიცინო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ბავშვთა და მოზარდთა სერიოზულ ნერვიულ დაავადებათა უდიდესი ნაწილი ოჯახური უსიამოვნებით არის გამოწვეული. სამი-ოთხი წლის ბავშვებიც კი, რომელთაც თითქოს არაფერი ესმით ასეთი ამბების, სინამდვილეში ავადმყოფურად განიცდიან მშობლების ხმის ამაღლებას, ლანძღვა-გინებას, უხეშ ჟესტებს და წამოძახილებს. ზოგჯერ ბავშვის ნერვიული სისტემა სერიოზულად ზიანდება და მთელი სიცოცხლის მანძილზე განუკურნებელი რჩება. ეს დაზიანება გამოვლინდება ხოლმე შიშში, ენაბლუობაში, სხეულის კანკალში, შარდის შეუკავებლობაში, უფრო გვიან შეიძლება გადაიზარდოს ნევრასტენიასა და ისტერიაშიც. ბავშვის ორგანიზმის ასეთი ნერვიული მოვლენები მოულოდნელია მშობლებისათვის და ხშირად მიზეზებს მემკვიდრეობასა და სულ

სხვა ფაქტორებში ეძებენ. მათ არ იციან, რომ ბავშვის ნერვიული დაავადების მიზეზი თვითონვე არიან.

გამოჩენილი რუსი პედაგოგი უშინსკი ამბობდა: აღმზრდელის პირადი მაგალითის გავლენა ახალგაზრდა სულზე არის ის აღმზრდელობითი ძალა, რომელსაც ვერ შეცვლის ვერც სახელმძღვანელოები, ვერც მორალური სენტენციები, ვერც დასჯისა თუ წახალისების სისტემა.

დიდი ჩეხი პედაგოგი იან ამოს კომენსკი გვასწავლიდა, რომ ბავშვს გააჩნია მიმბაძველობის უდიდესი უნარი, ბავშვი ყველაფერში უფროსს ბაძავს, ყოველი გარეგანი სტიმულის გარეშეც კი. ამიტომ პირველ ყოვლისა, თვით მშობლები უნდა გამოირჩეოდნენ მაღალი ზნეობით და დაიცვან ოჯახში მკაცრი დისციპლინა. აი ყველაზე კარგი საშუალება იმისათვის, რომ ბავშვი პატიოსანი ცხოვრების გზაზე დავაყენოთ.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მშობელთა პირად მაგალითს, მოგაგონებთ ერთ პატარა მოთხრობას, რომელიც ჩვენს სასიქადულო პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს სახელმძღვანელოშიც კი ჰქონდა შეტანილი.

ოჯახში ღრმამოხუცი ბაბუაა. მას ხელი უკანკალებს. სადილის ჭამის დროს წვენი ეღვრება. შვილსა და რძალს ეს არ მოსწონთ. გადასწყვიტეს ცალკე ასადილონ მოხუცი პატარა მაგიდაზე. ასეც მოიქცნენ. ერთ დღეს მოხუცს წვნიანი თეფში ხელიდან გაუვარდა, წვენიც დაიღვარა და თეფშიც გატყდა. ამის შემდეგ ბაბუას ხის ჯამით აძლევენ საჭმელს.

მოხუცის ვაჟს ჰყავდა 4 წლის ბიჭუნა. ერთ დღეს მამამ შენიშნა, რომ ბავშვი რაღაცას დიდი მონდომებით აკეთებს ხის ნაჭრებისაგან. რას საქმიანობ, შვილო, — შეეხმაურა მამა.

მამილო, — უპასუხა ბავშვმა, — მე ხის ჯამს ვაკეთებ. როცა შენ და დედა მოხუცდებით, სადილს ამ ჯამებიდან გაჭმევთ. ბავშვის მშობლებმა ერთმანეთს გადახედეს და მხოლოდ ახლა იგრძნეს თავიანთი დანაშაული.

ბავშვები მეტად ფაქიზი დამკვირვებელნი არიან. მათ არაფერი გამოეპარებათ უფროსების ყოფაქცევიდან. მშობლებს კი ხშირად არასერიოზულობისა და დაუკვირვებლობის შედეგად ეს მხედველობიდან რჩებათ.

ზოგჯერ ისინი ბავშვს ასეთ რამესაც კი ავალებენ: თუ ვინმე მოვიდეს ჩემთან, უთხარი, რომ სახლში არა ვარ, ან თუ ტელეფონით მეკითხონ — გადაეცი, რომ ახლახან გავედი სახლიდან.

ზოგჯერ ოჯახის წევრები პირში თითქოს ერთმანეთს კარგად ექცევიან, ზურგს უკან კი ერთმანეთზე ავსიტყვაობენ. ეს მახინჯი მოვლენა აჩვევს ბავშვებს პირფერობას, მაბეზღარობას. ოჯახის წევრები კი ამას ვერ ამჩნევენ, ჰგონიათ, რომ ყველაფერი ეს შეუმჩნეველი რჩება ბავშვის მიერ. მშობლებს არ ესმით, რომ ჩრდილს ფენენ თავიანთ ავტორიტეტს. ავტორიტეტის შერყევა კი აღმზრდელობითი საქმიანობის მარცხის დასაწყისია.

ოჯახური აღზრდის ნაკლს ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს მომთხოვნელობის სხვადასხვაობა. ზოგჯერ იმ ოჯახშიც კი, სადაც მყუდრო და მეგობრული ურთიერთობაა გამეფებული, მომთხოვნელობა ბავშვის მიმართ სხვადასხვაა.

აი მაგალითი: პატარა ირა გულამოსკვნილი ტირის. მას უნდა მამის საწერი მაგიდიდან აიღოს წიგნები სათამაშოდ, მამა ამის ნებას არ აძლევს.

— დაიცა, ირა, — ეუბნება დედა, — ახლავე წავა მამა და მოგცემ წიგნებს.

ბავშვთა აღზრდა მოითხოვს სერიოზულ, მაგრამ უბრალო და გულწრფელ ტონს. სულ მცირედი ხელოვნურობა ან სიყალბის სულ ოდნავი შტრიხიც კი შეუმჩნეველი არ რჩებათ ბავშვებს.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოჯახში ვიყოთ მუდამ გაჯავრებული ან გაბუტული. არა. ოჯახში უნდა ვიყოთ უბრალო, გულწრფელი. ჩვენი ხასიათი უნდა შეეხამებოდეს ოჯახის წევრთა საერთო განწყობილებას. რაც მთავარია, ბავშვები მშობლიურ სითბოს მოითხოვენ და იგი ზომიერ ფარგლებში არ უნდა მოვაკლოთ მათ.

წერილის დასასრულს არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ჟურნალ „საქართველოს ქალის" ფურცლებზე გაშლილი დისკუსია, ოჯახში ცოლსა და ქმარს შორის გაუგებრობის, უპატივცემლობის და სერიოზული განხეთქილების შესახებ, ყველა მშობლისათვის დამაფიქრებელია. მშობლები ერთმანეთში დაობენ, ილანძღებიან, ხშირად ფიზიკურ შეურაცხყოფამდე მიდიან, შორდებიან კიდეც ერთმანეთს და ამით „იმსუბუქებენ" თავიანთ მდგომარეობას. მაგრამ საკუთარი თავის „ხსნით" გატაცებულებს, ავიწყდებათ ოჯახის დანარჩენი წევრები — შვილები, ჰგონიათ, რომ მათი პირადი საქმე ბავშვებს არ შეეხება, მათ ცხოვრებაში კვალს არ გაავლებს. ასეთი მშობლები ნახევრად დაავადებულ, სულიერად გატეხილ ადამიანებს ზრდიან და არ სჯერათ არც თავიანთი საქციელით გამოწვეული რეალური შედეგი, არც უმძიმესი დანაშაული ყოვლად უდანაშაულო ბავშვების მიმართ.

ასეთმა მშობლებმა არ იციან, რომ შრომისმოყვარე, მეგობრული ოჯახი, სადაც მისი წევრების ურთიერთობა დაფუძნებულია კომუნისტური მორალის პრინციპებზე, ბავშვების სწორად აღზრდის უძლიერესი ფაქტორია.

**მარიამ ბურჭულაძე,**
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" 1962 წლის № 5-ში გამოქვეყნებული წერილი მეტად მნიშვნელოვან საკითხს ეხება და სწორედ მოიქცა ჟურნალის რედაქცია, რომ იგი საერთო მსჯელობის საგნად გახადა.

ამ შემთხვევაში მხოლოდ საბჭოთა ადამიანისათვის შეუფერებელ საქციელთან და საბჭოთა მორალის არმქონე, უსულგულო ადამიანთან როდი გვაქვს საქმე! საკითხი უფრო სერიოზულია. სიცხიანი ცოლისა და შვილების უმწეო-უზედამხედველო მდგომარეობაში მიტოვება და მისი (ქმრის) ამ დღეს კრებაზე დასწრება არავითარ შემთხვევაში მის გამამართლებელ საბუთად არ ჩაითვლება.

თანამედროვე საბჭოთა ოჯახის უმრავლესობა დღეს სიყვარულის, ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპზეა დამყარებული. საბჭოთა ოჯახის ბედნიერების საფუძველს სწორედ სიყვარული, ურთიერთ თავაზიანი და გულისხმიერი დამოკიდებულება წარმოადგენს. ასეთი ცალკეული უკუღმართი წარსულის გადმონაშთს კი შეუნელებელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. საზოგადოებამ უნდა გაკიცხოს და ბოიკოტი გამოუცხადოს ბატონკაცური ცხოვრების მოტრფიალე ადამიანს, ადამიანს, ვისაც დღემდე ვერ შეუგნია, რომ ქალი და კაცი ჩვენში არამარტო თანაბარი უფლების მქონენი არიან, არამედ ქალი არის ჩვენი მომავლის წარმომშობი და აღმზრდელი დედა, ამასთან მამაკაცთან ერთად კომუნიზმის აქტიური მშენებელი.

მამაკაცის განცხადება: ეგ ყველაფერი შენი საქმეა, და ვინ უნდა გააკეთოს. ჩემი ბრალი ხომ არ არის, რომ ქალად დაიბადეო, — უცხოა საბჭოთა კანონისა და მორალისათვის.

მე ვფიქრობ, უცნობი ქალის მეუღლე საჯაროდ არ დაიცავს ასეთ მოსაზრებებს ცოლისა და, საერ[illegible] მიმართ. ის უთუოდ უარყოფს ან ხუმრობაში ჩაატ[illegible] რამ რით შეუძლია იმართლოს თავი, რომ სიცხიანი ავადმყოფი ცოლი და შვილები უმწეოდ მიატოვა? თუ მას ასეთი მდგომარეობა ჰქონდა, განა ეს არ იყო კანონიერი საფუძველი არა თუ კრებიდან, არამედ დროებით სამსახურიდანაც გასათავისუფლებლად?

ავიღოთ მეორე შემთხვევა: შინ გვიან დაბრუნება და ახლადდაძინებული ცოლის გაღვიძება მხოლოდ იმისათვის, რომ მას გამზადებული საჭმელი ბუფეტიდან გამოუღოს და წინ დაუდგას?

განა ეს დასაშვებია? — კეთილსინდისიერი და ცოლშვილის მოყვარული კაცი სახლში დროზე მოვიდოდა. თუ რაიმე შემთხვევით დაიგვიანა და ცოლშვილი დაძინებული დახვდა, ფეხაკრეფით უნდა შესულიყო, ჩუმად ევახშმა და დაეძინა. ავადმყოფმა ცოლმა ხომ შესძლო მისთვის სადილი გაემზადებინა. განა ეს საკმარისი არ იყო? მაგრამ ბატონკაცური ცხოვრების მოტრფიალე ამით როდი კმაყოფილდება და ავადმყოფ ცოლს მიმართავს: „კი მაგრამ შენ რომ დაწექი, მე ყურადღების მიქცევა აღარ მჭირდება? — იქნებ თეფშის გამოცვლა დამჭირდა, ან ჩაის დასხმა?!" რა უნდა ეწოდოს ასეთნაირად მოაზროვნე ადამიანს?

ჩვენ არ ვიცით, რა განათლებისა და წოდების ადამიანთან [illegible]ს საქმე, მაგრამ მისი საქციელიდან ცხადი ხდება, რომ ცუ[illegible]ზრდილი და გადაგვარებულია. ის რომ ბავშვობიდანვე [illegible] ველდღიურ შრომით საქმიანობაში ყოფილიყო ჩაბმუ[illegible]რმალური აღზრდა მიეღო, დღეს ჩვენ ასე უცხო და უც[illegible] ადამიანთან საქმე არ გვექნებოდა!

[illegible]ყიროა მთელი საზოგადოებრიობის დარაზმვა ასეთ გადმონაშთებთან საბრძოლველად. საზოგადოებრივი ზეგავლენა დიდ ძალას წარმოადგენს ადამიანთა გამოსწორებისა და ახლებურად აღზრდის საქმეში.

ამ შემთხვევაში, სამართლიანობის თვალსაზრისით ისიც უნდა ითქვას, რომ იმ კაცს ყველა საძაგელ თვისებებთან ერთად აქვს დადებითი თვისებებიც. ის „არც ლოთია, არც მოღალატე, არც ეჭვიანია, არც ხმას აუწევს, უწმაწური სიტყვები, რა თქმა უნდა, არა სჩვევია"... მართებულად მოიქცა წერილის ავტორი, რომ მან საკითხი საზოგადოების მსჯელობის საგნად გახადა და არ მიმართა უკიდურეს ზომას — განქორწინებას. ქმრის ზოგიერთი კარგი თვისება და გონიერი რჩევა-დარიგებანი, მე ვფიქრობ გარდატეხას მოახდენს მის შეგნებაში.

**ამბროსი ბაგუა,**
იურისტი, პერსონალური პენსიონერი.

# ქართველი ქალი ინდოეთის დედოფალი

ქართველი ქალი რომ ინდოეთის დედოფალი ყოფილა, ინდოეთშივე გავიგე, სადაც 1961 წლის იანვარში მეორედ მომიხდა სამოგზაუროდ ჩასვლა.

თავგადასავალი ქართველი დედოფლისა აღწერილია ინდოელი მწერლის ბონკიმჩონდრო ჩოტტოპატხაის (1838-1894) ისტორიულ რომანში — „რაჯ-სინგხ", რომლის რუსული თარგმანი 1960 წელს გამოსულა. ამ რომანს მე გავეცანი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ. ინდოეთში გიდის მიერ მოყოლილი ამბავი ამ რომანში ვრცლად არის მოთხრობილი.

როგორც ცნობილია, ინდოეთში ინგლისელებზე ადრე, რამდენიმე საუკუნე დიდი მოგოლები ბატონობდნენ.

დიდმოგოლთა დინასტიის მესამე იმპერატორის აკბარის შვილიშვილს შაჰ-ჯაჰანს (1627-1658) ოთხი ვაჟი ჰყავდა და თავისი მეფობის დასასრულს სამეფო ოთხივეს გაუნაწილა, ე. ი. იმპერია დაანაწილა. ერთ-ერთი ვაჟი, კერძოდ აურანგზები (1658-1707) ამით არ დაკმაყოფილდა. მან მოინდომა მთელი იმპერიის მმართველობა და განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ჯერ მამა დაპატიმრა, შემდეგ ძმების წინააღმდეგ გაილაშქრა, დაამარცხა ისინი და მთელი იმპერიის მმართველი გახდა. უფროსი ძმა დარუ, რომელიც მისთვის საშიში იყო, როგორც ტახტის კანონიერი მემკვიდრე, აურანგზებმა მოჰკლა.

დარუს ორი ცოლი ჰყოლია, ერთი ქართველი ქალი ყოფილა, მეორე ინდოელი. ქართველი ქალი პრინც დარუს უყიდია მონებით მოვაჭრისაგან და ისე მოხიბლულა მისი სილამაზით, რომ ცოლად შეურთავს.

დარუს ქართველი ქალი ძალიან ჰყვარებია და მისთვის პირველი ცოლის ადგილი მიუნიჭებია.

როგორც ჩანს, ეს ქართველი ქალი სილამაზესთან ერთად ძალიან ჭკვიანი, დარბაისელი, გამჭრიახი და საკმაოდ განათლებული ყოფილა, რადგან ისეთი დიდი გავლენა ჰქონია შაჰ-დარუზე, რომ იგი გაუქრისტიანებია კიდეც. დიდ მოგოლთა დინასტიის მუსულმანი იმპერატორის გაქრისტიანება კი არც თუ იოლად მისაღწევი საქმე იყო.

ქართველ ქალს თან ჰქონია ჯვარი (ჯვარცმით) და ღვთისმშობლის ხატი, რომელიც სადაც არ უნდა წასულიყო ყველგან თან დაჰქონდა. დაქვრივების შემდეგ იგი ძალად ცოლად შეურთავს მისი ქმრის მკვლელს — იმპერატორ აურანგზებს. აურანგზებსაც ძლიერ ჰყვარებია ქართველი ქალი და დიდ ანგარიშს უწევდა მის აზრს სახელმწიფო და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის დროს.

ერთერთ ლაშქრობაში, ფეოდალ რაჯ-სინგხის წინააღმდეგ, აურანგზებს თან წაუყვანია თავისი მეუღლე — ქართველი ქალი. ამ ომში იმპერატორი დამარცხებულა, დედოფალი ტყვედ ჩაუვარდიათ ინდოელებს. ცალკე ოთახში დამწყვდეულ ტყვე ქალს თურმე წინ ედო ჯვარცმა და ღვთისმშობლის ხატი, ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა „რძეზე უფრო თეთრ ლოყებზე" და ლოცულობდა.

იმპერატორმა რასაკვირველია გამოისყიდა დედოფალი და თან წაიყვანა დელში.

კარგი იქნებოდა თუ ჩვენი მკვლევარები დაინტერესდებოდნენ ამ ქართველი ქალის ვინაობით. მის შესახებ მასალები აურანგზების არქივში ინახება.

**თამარ ცაგარელი**

# დარწმუნების ძალა

ალფონს რიბელი ადამიანის შესაძლებლობათა და მისწრაფებათა თავისუფალი განვითარების მომხრე იყო. იგი მოითხოვდა აგრეთვე ქალთა თანასწორუფლებიანობას. თავის რჩენას აშკარად გამოთქვამდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამხანაგების დარწმუნება, მათი მცდარი წარმოდგენებისაგან განთავისუფლება უნდოდა.

იგი მოხსენებით გამოდიოდა არა მარტო თავის ქარხანაში, სადაც საამქროს უფროსად მუშაობდა, არამედ საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა სხვა საწარმოებშიც. ალფონსი ისევე კარგად ერკვეოდა ყოველდღიური ცხოვრების აქტუალურ საკითხებში, როგორც პოლიტიკის პერსპექტივებში.

ერთხელ მოხსენებას კითხულობდა თავისი სახლის მეზობლად მდებარე ქარხანაში. მოხსენება ეხებოდა მეტად მნიშვნელოვან საკითხს — როგორ ჩავაბათ ქალთა მეტი რაოდენობა შრომაში. ეს იყო მისი უსაყვარლესი თემა. იგი ლაპარაკობდა დიდ ეკონომიურ [illegible], რომელთა გადა[illegible] ცხოვრების გაუმჯო[illegible] შეუძლებელი იქნებოდა. [illegible] იმაზე, თუ მუშახე[illegible] დიდი ნაკლებობა იგრძ[illegible]. მოულოდნელად [illegible] კიდევ ისეთი [illegible] შეზღუდულობის მქო[illegible], რომლებიც ცო[illegible] გასვლის ნებას [illegible]. — რა იწვევს ამას? [illegible], ამხანაგებო, — განა[illegible] ალფონს რიბელი, — [illegible] მამაკაცს ბატონკაცობა [illegible] უნდათ ცოლები ოჯა[illegible], რომ სამუშაო[illegible] სახლში სიმ[illegible] ჰქონდეთ. ქალებს კი [illegible] ექცეოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალფონს რიბელმა ცოტა შეისვენა. ტაშმა იგრიალა. ბოლოს კი მოხსენება მგზნებარე მოწოდებით დაამთავრა: — ყველგან და ყოველთვის გასწიეთ იმის პროპაგანდა, რომ რაც შეიძლება მეტი ქალი ჩაებას მუშაობაში.

კმაყოფილი დაბრუნდა რიბელი სახლში. ისადილა .და თავის სავარძელში ნებიერად ჩაესვენა. ცოლმა, მარიამ, გაზეთი მიუტანა. მერე მის გვერდით ჩუმად ჩამოჯდა, რადგან იცოდა, ქმარს არ უყვარდა, როცა კითხვის დროს ხელს უშლიდნენ. ალფონს ნათქვამი ჰქონდა, მდგომარეობა და სპეციალობა მავალებს ყოველდღიური ცხოვრების საკითხებში გარკვეული ვიყოო.

რამდენიმე დღის შემდეგ კი საქმე სხვაგვარად შეტრიალდა. მარია უეცრად ალაპარაკდა. უკმაყოფილოდ გადახედა რიბელმა ცოლს, მაგრამ ქალი არ ჩერდებოდა:

— შენ კარგად იცი, ალფონს, რომ გათხოვებამდე მუდამ ვმუშაობდი და ახლაც გადავწყვიტე სამსახური დავიწყო.

— რაო? — წამოიყვირა გაკვირვებულმა რიბელმა, — სამსახური დაიწყო? მერედა რატომ, საამისო რა გაგვიჭირდა?

— დღეს მუშახელია საჭირო! — შეეპასუხა მარია.

— კეთილი, მაგრამ მე დაღლილ-დაქანცული დავბრუნდები შინ, არც სადილი დამხვდება, არც გამთბარი ბინა, შენ კი ამ დროს შეიძლება კრებაზე იჯდე. ეს რა ცხოვრება იქნება?! — ახლა კი განრისხდა რიბელი.

— ეგ არაფერია, ყველაფერს ეშველება. — ჯიუტად იმეორებდა მარია.

— ვერაფერი გამიგია, — უთხრა რიბელმა, — აქამდე ხომ როგორღაც ვცხოვრობდით, ახლა ეგ აზრი საიდან აგეკვიატა?

— ჩემით არ მივსულვარ ამ გადაწყვეტილებამდე.

— მაშინ ვინ გირჩია?

— ჩვენს ქუჩაზე რომ ქარხანაა, იქიდან ორი ქალი მოვიდა. მითხრეს, ამ რამდენიმე დღის წინ ჩვენთან, ქარხანაში, ერთმა კაცმა შესანიშნავი მოხსენება წაიკითხაო. ჰოდა.., რა დაგემართა, ალფონს? რატომ გაფითრდი? ავად ხომ არა ხარ?..

გერმანულიდან თარგმნა
**დალი ბუჩუკურმა.**

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## მოდის ჭირვეულობა

სპეციალისტები გვიმტკიცებენ, რომ 1963 წლის მოდა იქნება მოქნილი, სხარტი და ახალგაზრდული. ამას წინათ მოსკოვის, კიევის, რიგის და ტალინის მოდელიორებმა მოხაზეს მისი სილუეტები.

დავიწყოთ პალტოდან. „პინგვინების“ (ზევით განიერი, ქვემოთ — ვიწრო) დრო გავიდა. უნდა შევეჩვიოთ „რედინგტონის“ ტიპის ერთ ან ორბორტიან პალტოს — ბოლოში ერთგვარად გაფართოებულს, პატარა საყელოთი და შედარებით ვიწროდ ამოჭრილი იღლიის ხაზით. ტრადიციული ხაზების მოყვარულთ შეუძლიათ კვლავინდებურად ატარონ სპორტული ტიპის სწორი პალტო ქამრით, კაპიუშონით ან შარფით.

გადავიდეთ კოსტუმებზე. როგორც ცნობილია, მკაცრი კოსტუმი კარგახანია შევიდა საქმიანი ქალის გარდერობში. ახლა მან დაკარგა ძველი სოლიდურობა. კოსტუმს გამოსაცოცხლებლად ახლა უკეთებენ პატარა ჭამარს, ნაირნაირ ღილებს, თასმებს აგვირისტებენ და. რაც სულ მთლად გასაოცარია (და ქარაფშუტულიც) — ბეწვითაც აწყობენ!

ახალი მოდა არ ზღუდავს ქვედატანის არც სიგანეს, არც სიგრძეს, არ აზუსტებს ნაკეცების, ნაჭრების თუ ჩანაკერების („ვიტოჩკის“) რაოდენობას. აუცილებელია მხოლოდ ერთი: სწორი მოკლე ჟაკეტი, თუ თქვენ მაინცდამაინც გრძელი ჟაკეტი გსურთ, მაშინ ქვედა ტანის ფორმა აუცილებლად უნდა იყოს სწორი, ან ბოლოში გაგანიერებული, კლოში.

დაბოლოს, კაბის ფასონებზე. თხელ, კოხტა ქალებს შეუძლიათ ნება მისცენ თავს ატარონ კაბა ამაღლებული წელის ხაზით, მსუქან ქალებს ამის ნება არა აქვთ. სამაგიეროდ იმათაც და ამათაც 1963 წელს შეუძლიათ ატარონ კაბები ნახევრად ტანზე მომდგარი ლიფით და ქვედატანით, ოდნავ გაკლოშებული წელის ხაზიდან ან კიდევ უფრო ქვევით (ამ უკანასკნელ შემთხვევაში კაბა მთლიანგამოჭრილი უნდა იყოს). მხრის ხაზი ისევ ბუნებრივი რჩება. სიგრძე ზომი-





ერი. მაგრამ რა უყო მოდამ სახელოს? ჩვენ ისე შევეჩვიეთ მათ „შეზღუდულობასა და დაუმთავრებლობას“, რომ სახელოს ზევით ვკეცავდით, ვიკაპიწებდით მაშინაც კი, როცა ეს საჭირო არ იყო. ახალი წლიდან სახელო სწრაფად ჩამოგრძელდება მაჯებამდე.

ქალიშვილებს მოდა სთავაზობს არ უღალატონ აღიარებულ სპორტულ სტილს; პატარა ბერეტს, ქუდებს-„ბურატინოს ჩაჩს“ და ბოლეროს ზევით აზნექილი ფარფლებით; ასევე დაბალქუსლიან ფეხსაცმელს.

ამბობენ, ქალის ჩაცმულობაში მთავარი ფეხსაცმელიაო. მიმდინარე სეზონში მოდა არაჩვეულებრივად დამთმობია ფეხსაცმლის მიმართ. ფეხსაცმლის ცხვირის ფორმა შეუზღუდავია — წინ გაწვდილი-გაწვრილებული, ტრაპეციის ფორმისა, მრგვალი, შეჭყლეტილი, რაც კი გსურს სულო და გულო. გარკვეული მეტამორფოზი განიცადეს ხელჩანთებმა — კვადრატულ ხელჩანთებს სწორკუთხედის ფორმა შეენაცვლა. საღამოს, სადმე წასასვლელად, ძველებურად მოდაში რჩება პატარა ხელჩანთები — ქისის ან კონვერტის ფორმისა.

1963 წლის მოდა იმდენად დემოკრატიულია, რომ ზუსტად არ განსაზღვრავს ფერებსაც კი! მოდაშია წითელიც, მუქი ლურჯიც, მოლურჯო-სოსანისფერიც, ქლიავისფერიც, რბილი ვარდისფერიც, წაბლისფერიც, მოცისფერო ნაცრისფერიც, ფერცხლისფერიც, ქალიშვილებისათვის დასაშვებია ფერების ყველაზე მოულოდნელი შეხამება.

მაგრამ ჩვენი მოდისათვის მთავარ პრინციპად მაინც კვლავინდებურად სისადავე და პრაქტიკულობაა.

აი, კიდევ ცნობები საზღვარგარეთიდან:

პ ო ლ ო ნ ე თ ი. აქ მოდა არ ერიდება არც ახალ ხაზებს, არც მჭახე ფერებს, კატეგორიულად უარს ამბობს ქვედატანის დაგრძელებაზე და უჭოჭმანოდ ამაღლებს წელის ხაზს, ატარებენ ბეწვისყელიან ფეხსაცმელს („კაზაჩკი“) და ყველა ფერის შალის წინდებს. საღამოობით პოლონელი ქალები ნახევარტონებსა და გამჭვირვალე სიფერმკრთალეს ირჩევენ.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი არავის უთმობს პირველობას ახალი სილუეტების შექმნაში. აქ ხოტბას ასხამენ ქალურობას, სინაზეს და უარყოფენ სიმკაცრეს და სიმშრალეს. სიცივესთან საბრძოლველად ფრანგული მოდა გვთავაზობს ბეწვეულის კაპიუშონთა ნაზ ბულულებს და ბეწვის დიდ საყელოებს-უკან აწეულს (ა ლა სტიუარტ). ტექნიკის უახლეს მიღწევებისათვის ხარკის მოსახდელად საფრანგეთის მოდამ ძალიან საინტერესო რამ გამოიგონა ე. წ. შარფი-რაკეტა.

ი ტ ა ლ ი ა ს დაჟინებით შეაქვს თავის უახლოეს ფასონებში კვადრატული მხრები, ტუნიკები, სახელო-კიმონი, რომელიც თითქმის წელთან იწყება, ბეწვის ან ტყავის ფართო ქამრები და დაქარგული წინდები: ნავთობისფერი, ლაჟვარდისფერი და განსაკუთრებით პოპულარული — აქლემის ბეწვის ფერი.







## კულინარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ დავამზადოთ მოხარშული კარტოფილის კატლეტი

ბოსტნეულისაგან კატლეტი რომ დავამზადოთ, საჭიროა იგი წინასწარ ორთქლში ან წყალში მოვხარშოთ. როცა კარტოფილს ორთქლში ვხარშავთ, წყალი ისე უნდა დავასხათ, რომ ქვაბის ძირიდან ცხაურამდე დაფაროს. თუ გვინდა წყალში მოვხარშოთ, კარტოფილი წყლის ადუღების შემდეგ უნდა ჩავალაგოთ, სახურავი მჭიდროდ დავახუროთ, როცა დარბილდება, ბოლქვებს მარილს მოვაყრით და ისე ვხარშავთ, რომ არ ჩაიშალოს. შემდეგ წყალს გადავუწურავთ და ხორცის საკეპ მანქანაში გავატარებთ, ბოლოს კვერცხს დავუმატებთ. (კვერცხი თავის ოდენობის სამ მოცულობა წყალში უნდა იქნეს არეული). შემდეგ ამ ნარევს მოვზილავთ, მომზადებულ საკატლეტე მასას ულუფებად დავყოფთ, ორცხობილაში ამოვავლებთ, კატლეტის ფორმას მივცემთ და შევწვავთ.

ს ტ ა ფ ი ლ ო ს და კ ო მ ბ ო ს ტ ო ს ჯერ დაკეპავენ, შემდეგ კი მოთუთქავენ, სტაფილოს თუთქავენ ცხიმში, უმარილოდ, ცოტა წყლის დამატებით; კომბოსტოს კი უწყლოდ, მხოლოდ ცხიმს და მარილს უმატებენ. მოთუთქვის შემდეგ უმატებენ რომელიმე დაფქვილ ბურღულს და ხარშავენ, ვიდრე გასქელდება. დამზადებულ მასას დაახლოებით 70-გრადუსამდე აცივებენ და კვერცხს უმატებენ. მერე უმატებენ მარილსაც, ურევენ და მიღებული მასალისაგან აკეთებენ კატლეტს.

# გაყინული თევზის გალღობა

თევზის გალღობა შეიძლება გამდინარე წყალში, დამდგარ წყალში და უწყლოდაც, ოთახის ტემპერატურაზე. თევზის წყალში გალღობის ხანგრძლიობა დამოკიდებულია მის ზომაზე. მსხვილი თევზისათვის გალღობის ხანგრძლიობა უნდა იყოს არა უმეტეს 6 საათისა, წვრილი თევზისათვის არა უმეტეს 2 საათისა. 1 კგ თევზს უნდა დაესხას დაახლოებით 1,5-2 ლიტრი წყალი. წყალში გალღობის დროს თევზი კარგავს მასში შემავალ მინერალურ მარილებს და სხვა საკვებ ნივთიერებებს. ამ დანაკარგის შესამცირებლად საჭიროა 1 ლიტრ წყალს დავუმატოთ 7-10 გრამი საჭმელი მარილი. თევზის გალღობა დამთავრებულად ჩაითვლება მაშინ, თუ თევზის სხეულის შიგნით ტემპერატურამ ერთ გრადუსამდე აიწია. თევზის ტემპერატურის გაზომვა ხდება მისი სხეულის ყველაზე სქელ ნაწილში.

გაყინული უძვლო თევზი: თართი, ზუთხი, ლოქო და სხვა უმჯობესია გავალღოთ უწყლოდ, ოთახის ტემპერატურაზე (სადაც ტემპერატურა არ აღემატება 20 გრადუსს, 6-10 საათის განმავლობაში), რადგან მათი გალღობა წყალში იწვევს ბევრი საკვები ნივთიერების დაკარგვას. გალღობილი თევზის შენახვა დიდხანს არ შეიძლება.

**მარიამ ჩითელაშვილი**,
ინჟინერ-ტექნოლოგი კვების დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფერად-ფერადი

## რეკორდები, რეკორდები...

ჯერ კიდევ სულ ცოტახნის წინ კბილის ექიმი ობრაინი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქალაქ ხარლოუსში, მაგრამ იგი დაღუპა... რეკორდებით გატაცებამ. ობრაინმა ტვისტის ცეკვის ხანგრძლივობის კონკურსში მიიღო მონაწილეობა და ახალი „მსოფლიო რეკორდი" დაამყარა — 96 საათი, 31 წუთი და 7 სეკუნდი. რვა პარტნიორი გამოიცვალა. მაგრამ პრიზმა ბედნიერება ვერ მოუტანა. ობრაინი ავად გახდა და ახლა ფსიქიატრიულ კლინიკაში წევს.

მეორე „მსოფლიო რეკორდსმენს", რომელიც კეგლის თამაშის ხანგრძლიობის კონკურსში იღებდა მონაწილეობას, ბედმა უფრო გაუღიმა. თამაშის დროს არცერთი პარტნიორი არ გამოუცვლია. მან გამოიცვალა... რვა წყვილი წინდა და სამი წყვილი ფეხსაცმელი, რადგან ამ საშინელი თამაშის შედეგად დაწყლულებული ხელები მოვლას საჭიროებდა, ექვსი ბოთლი ლოსიონი დაიცალა ხელებზე. პრიზის გადახდა კეგლის, ფეხსაცმელის, წინდებისა და ლოსიონების ფირმის პატრონებმა იკისრეს.

## ნგრევის ყვავილი

ბოტანიკოსები ამ იშვიათ მცენარეს სამეფო პრიმულას უწოდებენ **Primula imperialis**, ყვავილი მხოლოდ იავაზე, პანგრანგოს მთებში ხარობს, სადაც უამრავი მოქმედი ვულკანია.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა პრიმულას სხვა სახელი — „ნგრევის ყვავილი" უწოდეს.

უკვე დიდიხანია, რაც მათ საოცარი კანონზომიერება აღმოაჩინეს: სამეფო პრიმულა ყოველთვის, ამოფრქვევის წინ აყვავდება ხოლმე ვულკანის წვერზე. ახლომახლო სოფლის მცხოვრებლები, როგორც კი ამ ყვავილს შენიშნავენ, ცდილობენ სასწრაფოდ აიყარონ იმ ადგილებიდან.

## დაიძინეთ, დაიძინეთ!..

იაპონიაში გასაყიდად გამოუშვეს ელექტრომოწყობილობა, რომელიც ჩვეულებრივ საძინებელ წამლებს ცვლის. აპარატი რეგულარულად გამოსცემს განსაზღვრულ სუსტ ბგერებს, რომელთა გავლენით უძილობით დაავადებული ადამიანი ათ წუთში იძინებს.

## ანდერძი

ერთერთმა ფაბრიკანტმა თავის მემკვიდრეებს სეირი უჩვენა: როცა იგი გარდაიცვალა, ყველა ნათესავი, რომელთაც კი მემკვიდრეობაზე უფლება გააჩნდათ, ნოტარიუსმა თავისთან მიიპატიჟა და კონვერტი გახსნა. კონვერტში შემდეგი შინაარსის პაწია ბარათი იდო: „ჩემი ანდერძი ნაციონალური ბიბლიოთეკის ერთ-ერთ წიგნში ჩავდე!"

სხვათაშორის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში სამ მილიონზე მეტი წიგნი ინახება.

## თოფიანი მხატვარი

ეს ქალიშვილი, რომელიც თავისი სპორტული ნადავლის გამოფენას ახდენს, ნადირობის მოტრფიალე არ გეგონოთ. მხატვარი ქალი ნიკი დესაფალი ახლა პარიზში „მოდაშია", თუმცა იგი ხატავს ფუნჯით კი არა... თოფით. ტილოზე, რომელზეც მიმაგრებულია ყველაფერი რაც კი ხელში მოხვდება, საღებავებით სავსე ქილებს ჩამოკიდებს და მომავალ „ნაწარმოებს" ჯერ მიმიზნებით, კანტიკუნტად, მერე კი ბათქა-ბუთქით აუტეხს სროლას. დაცხრილული ადგილებიდან გადმოღვრილი საღებავი ჩამოთხუპნის ტილოს და ზედ დაკიდებულ ხარახურას. ასე იქმნება ახალი „შედევრი".




ქალიშვილი მომეწონა,—
დამიწუნა ქონება,
მკერდში გული შემიჩერდა,
დამიბნელდა გონება.
ჩემი ნიჭი და უნარი
სულ არ გამოიძია,
ვანუგეშე, რა გაშინებს—
მდიდარი მყავს ბიძია.
ეს რომ ვუთხარ, გაიღიმა,
რა ღიმილი იცოდა!..
და სულ მალე გულის სატრფო
გახდა ჩემი ბიცოლა.

 შ. ამირანაშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე სოციალისტური შრომის გმირი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტატიანა ჩხაიძე; მეოთხე გვერდზე—თბილისის მე-8 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები.

ფოტო დ. იაკობაშვილისა

## შეცდომის გასწორება

ჩვენი ჟურნალის ა. წ. იანვრის ნომერში 23-ე გვერდზე მოთავსებული მასალა—„თმის შეღებვა"—მე-6 სტრიქონიდან უნდა იკითხებოდეს ასე: „გადმოდგით და მორევით გააცივეთ 65—70 გრადუსამდე, შემდეგ შიგ ჩაუმატეთ ერთი შეკვრა ინი („ხნა") და გულდაგულ მოსრისეთ, სანამ"... შემდეგ ისე, როგორც ტექსტშია.

რედაქტორი თ. აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბალდავაძე, ე. თაგაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია. ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/II-63 წ. ქაღალდის ზომა 60×92, ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75.
პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71.
ტირაჟი 48.000. ფასი 30 კაპ.
შეკვეთის № 245 უე 04855

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сакартвелос Кали".
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ლ. შენგელია

# მზეთუნახავი და ოქროს მამალი

(ციკლიდან „ინგილოური თქმულებები“)

ძველად, საინგილოში ცხოვრობდა ერთი სახელოვანი ვაჟკაცი. მისი ქება-დიდება მთელ დუნიაზე იყო მოდებული. ვერავინ სჯობნიდა ვერც ნადირობაში, ვერც ჭიდაობაში და ვერც სხვა რაიმე სავაჟკაცო საქმეში. ამის გამო ხალხმა მას ასლანი — ლომი შეარქვა, მაგრამ ასლანი მარტო ამისთვის როდი უყვარდა ხალხს. იგი მუდამ მკერდით ხვდებოდა სამშობლოს მიწა-წყალზე შემოსეულ მტერს. აი, ამიტომ აღმერთებდა მას ხალხი!

თავისი პატარა რაზმით, რომელიც ათი-თხუთმეტი კაცისაგან შედგებოდა, ასლანი მუსრს ავლებდა მტრის მრავალრიცხოვან რაზმს. მოადგებოდა თუ არა მტრის ჯარი ქურმუხის ვიწრო ხეობას, რკინის ჭიშკარს რომ უხმობდნენ ინგილოები, ასლანი იმწამსვე იქ გაჩნდებოდა თავისი რაზმით და ისე დააწიოკებდა მტერს, როგორც ფარეხში შევარდნილმა მგელმა იცის ხოლმე ცხვრების დაწიოკება.

ამიტომ მტერს ასლანის ჯავრი სჭირდა და შემთხვევას ეძებდა მის მოსასპობად.

სულს იქით არაფერი გააჩნდა ასლანს, გარდა ერთი კოშკისა; არც ხნავდა, არც თესავდა, ომის დროს ნადავლით ირჩენდა თავს, მშვიდობიანობის დროს კი — ნადირობით.

მაგრამ ასლანი ყველა მდიდარზე უფრო მდიდრად სთვლიდა თავს იმის გამო, რომ ჰყავდა მზეთუნახავი ასული მანიჟე. მანიჟე მთელი დღე კოშკში იყო ჩაკეტილი, რომ მტერს არ გაეგო მისი სილამაზის ამბავი და არ მოეტაცა, ხოლო როცა ბინდი დაეცემოდა მიწას და მთის გადაღმიდან ბადრი მთვარე ამოჰყოფდა თავს, კოშკის კარები იღებოდა, მანიჟე გარეთ გამოდიოდა, მთვარის შუქზე დალალებს გაიშლიდა და თმის ვარცხნას იწყებდა.

მანიჟეს ერთი მამალი ჰყავდა, რომელსაც ბიბილო, ნისკარტი, კუდი და დეზები ოქროსი ჰქონდა. მამალი მთელი დღე-ღამის განმავლობაში სთვლემდა, მაგრამ მტერი რომ საზღვარს მოუახლოვდებოდა, იღვიძებდა ყივილს მოჰყვებოდა; მას სხვა მამლებიც აჰყვებოდნენ და აყივლდებოდნენ ხოლმე. ამ ხმაურზე ხალხი გროვდებოდა და მტრის დასახვედრად მიდიოდა.

ერთხელ ხალხს ღრეობა ჰქონდა. ღრეობის შემდეგ რომ დაიძინეს, მტრის ჯარი საზღვარს მოუახლოვდა. მანიჟეს მამალმა ყივილი ასტეხა, მაგრამ ხალხს ისე ღრმად ეძინა, რომ ყივილი ვერავინ გაიგონა. მტრის ჯარმა საზღვარი გადმოლახა და ქვეყანა ააოხრა. ასლანმაც ვერაფერი გაიგო, იმასაც მკვდარივით ჩასძინებოდა თავისი კოშკის ზღურბლზე. მტრის ჯარისკაცებმა მიაგნეს ასლანს, თავი მოჰკვეთეს მძინარეს, კოშკი გატეხეს და შიგ შევიდნენ. ბნელოდა, მაგრამ მანიჟეს სახე სხივებს აფრქვევდა და იქაურობას ანათებდა.

განცვიფრებულმა მეომრებმა წუთით თვალები დახუჭეს,. შემდეგ ისევ გაახილეს და ერთმანეთს გადახედეს. მსგავსი სილამაზე არასოდეს ენახათ. ისინი ერთმანეთს ეკითხებოდნენ: მოჩვენებაა თუ სიზმარიო.

ბოლოს როდესაც დარწმუნდნენ, რომ მათ წინაშე მზეთუნახავი ქალწული იყო, გადაწყვიტეს ტყვედ წაეყვანათ და თავიანთი მეფისათვის მიერთმიათ საჩუქრად. მანიჟემ რომ ეს ამბავი გაიგო, გული წაუვიდა, მაგრამ მალე მოეგო გონს, წამოდგა და ასე უთხრა მათ:

— ვიცი, რომ გინდათ უცხო ქვეყანაში წამიყვანოთ. ჩემთვის კარგი რამ განგიზრახავთ. ჩემი ბედნიერება ბევრ ჩემ ტოლ ქალს შეშურდება, მაგრამ სანამ ამას შეასრულებდეთ, ერთი სათხოვარი მაქვს: დიდი ხანია აღთქმა მივეცი ქურმუხის წმინდა გიორგის — ეს მამალი შემეწირა ზვარაკად, მაგრამ ვერ იქნა და, ვერ მოვახერხე. ამ ბოლო დროს მამალი დასნეულდა. დღე და ღამე სთვლემს, ველარც ყივის, ვიდრე მოკეთდებოდეს და მისი დარდი გულში ხინჯად ჩამრჩებოდეს, მინდა ეს აღთქმა შევასრულო და შემდევ დამშვიდებულმა დავტოვო ჩემი ქვეყნის მიწა-წყალი.

მეომრებმა ერთმანეთს შეხედეს, ითათბირეს და დასტური მისცეს.

„თუ მართლა ის მიწერია ბედად, რომ ჩვენი ქვეყნის მტერმა და დუშმანმა ფეხქვეშ გათელოს ჩემი ჩიქილი, ჩემი პატიოსნება და წმიდათაწმინდა, ათიათასჯერ მიჯობს ცოცხლად დავიმარხო ჩემს მიწა-წყალზე ამ ფიქრებით მანიჟემ ქურმუხის წმინდა გიორგის საყდარს მიაღწია, მიიხედ-მოიხედა. არავინ იყო. ქალწულმა მღვიმეს შეავლო თვალი.

„ნეტავ, ახლა ეს მღვიმე გაიხსნას“, — ინატრა მან.

ის იყო, მამალი უნდა გაეფრინა და თვითონ კლდეზე გადაშვებულიყო, რომ ქურმუხის წმინდა გიორგის საყდრის ქვეშ დატანებული მღვიმე გაიხსნა. მანიჟე და მისი ოქროს მამალი შიგ შეიმალნენ და მღვიმის კარებიც მაშინვე მიიხურა.

მტრის ჯარისკაცები ქვევით უცდიდნენ მანიჟეს. დიდხანს უცადეს, მერე ძებნა დაუწყეს, მაგრამ ვერსად აღმოაჩინეს. შემდეგ მიანგრ-მოანგრიეს ქურმუხის წმინდა გიორგის საყდარი და განრისხებული გაბრუნდნენ უკან.

ასე დაიცვა მანიჟემ თავისი სინდისი და სიფაქიზე წაბილწვისაგან.

— თუ ჩვენ მტრის ურდოებს გადავურჩით და დღემდე მოვიტანეთ ჩვენი ერის წმიდათაწმიდა, ეს მანიჟეს წყალობით არისო, — ამბობენ საინგილოში და თან დასძენენ:

— დღეს, მართალია, საინგილოს მტერი აღარ აწუხებს. მაგარამ შუაღამე რომ დადგება, მღვიმის კარები იღება, ოქროს მამალი გამოფრინდება და ყივილს იწყებს. მას მთელი ქვეყნის მამლები აჰყვებიან და აყივლდებიან ხოლმე. მანიჟე ამ დროს ქვის დიდ ლოდზე ზის და თავის ოქროსფერ დალალებს ივარცხნისო.

ალექსანდრა ჩხენკელი

ნ 83/84

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76177

